

დავით აღმაშენებლის

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

SEPTEMBRE

1928—№ 33

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ო ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ო :

მეთაური—პლანეტარული იმპერიალიზმი.
ილია ნუგუმიძე—საბჭოების სამოთხეში.
კაკი—რუსეთის იმპერიის ღირებულება.
გ.—ძე—ფიქრები თანამ. ქართ. მხატვ. მწერლობაზე.
უცხოეთის მიმოხილვა.

რას სწერენ ბოლშევიკებზე.
ხსოვნის დღე.
ქართველები გერმანიაში.
ქართველები ხარბინში.
ევრისელი—კრემლის ბრძანებლებს!

პ ლ ა ნ ე ტ ა რ უ ლ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი .

დიდი მოთმინება და კიდევ მეტი გულისყურია საჭირო, რომ ბოლომდის ჩაიკითხოთ და ოდნავ მაინც დაიმახსოვროთ კომინტერნის მეექვსე ყრილობაზედ მიღებული ბუხარინის 61 თეზისი. ლენინის ყოფილი მედავითნე და სტალინის თეორიტიკოსი ბუხარინი მართლაც ვირტუოზია შეუჩერებელი ცარიელი რაკრაკის. და ეს თავრეტიანი რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის მოძღვრად ითვლება, საუკეთესო მაჩვენებელია კომინტერნის სიბეჩავის.

გასაოცარია, მეორეს მხრით, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს დღესაც, ოქტომბრის გადატრიალების მე-11 წელს, სიტყვიერებას საბჭოთა საბრძანებელში. განუწყვეტელი ყრილობები, თათბირები, კრებები და იქ წარმოთქმული სიტყვები თავისი სიცარიელით და ერთგვარობით აჯარბებს ნორმალური ადამიანის წარმოდგენას. თუ სხვაში არა, ამაში მაინც გაიკრა მოსკოვმა რეკორდი მთელ მსოფლიოში! და ეს ვასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთელი ეგრ. წ. ამშენებლობა დიდ ნაწილათ სიტყვებში გამოიხატება და არა საქმეში.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმე, რომელსაც მოსკოვი აკეთებს არის, რა თქმა უნდა, მსოფლიო რევოლიუცია. ბუხარინის 61 თეზის კომინტერნის მიერ მეორე დღეს გამოქვეყნებული მანიფესტი «ყველა სექციებისათვის თანაბრათ სავალდებულო პროგრამად» აცხადებს და განაგრძობს: «ეს პირველათაა, რაც მუშათა რევოლიუციური მოძრაობა არსებობს, რომ მუშათა კლასი იღებს თავის ხელში საპროგრამო დოკუმენტს, რომლის დებულებანი კ ა ნ ო ნ ი ა მილიონებისათვის დედა-მიწის ყოველ ნაწილში, ყოველ რასაში და ერში».

სიტყვა «კანონი» ხაზგასმულია თვით დედანში და ესაა სწორეთ მანიფესტის უმწვერვალესი წერტილი. კომინტერნში შემავალ პარტიებს, სადაც არ უნ-

და იყვენ ისინი—საფრანგეთში თუ ინდოეთში, მექსიკაში თუ კაპის რესპუბლიკაში—ებრძანებათ ამ «კანონის» სიტყვა-სიტყვით ასრულება და, თანახმათ მე-61 თეზისისა, «სრული მორჩილება კომინტერნის აღმასკომისადმი». უკანასკნელი ნამდვილი მთავრობაა კომპარტიებისათვის და თან გაცილებით უფრო სასტიკი და დაუზოგველი, ვინემ რომელიმე არსებული მთავრობა, გარდა მოსკოვისა.

მაგრამ მოსკოვის მთავრობაც ხომ ყურმოჭრილი მონაა პოლიტიკურად, მაშასადამე, უკანასკნელი არის ის უზენაესი ორგანო, რომელიც სწყვეტს ბოლოს და ბოლოს ყველა ქვეყნის კომპარტიების და მათი წევრების ბედსა და უბედობას. ძალა, რაზედაც პოლიტიკურად ემყარება, არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, საიდანაც ეძლევათ—ქურდულათ რა თქმა უნდა—ყველა სექციებს უხვი სუბსიდიები. პოლიტიკურად ჰყავს თვითეულ სექციონში საკუთარი მეთვალყურე, რათა უზრუნველჰყოს თავისი ხელისუფლება და ბატონობა.

მოსკოვის ჩმახვა არავის სჯერა; ვითომ კომინტერნი საბჭოთა მთავრობის და უკანასკნელი პოლიტიკურის დამოუკიდებლათ არსებობდენ. მოსკოვს აქვს, უეჭველათ, თავისი «ნაციონალური» პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კომინტერნის და მისი სექციების საშუალებით ააფეთქოს მთელი მსოფლიო და გახდეს მისი ბატონი! დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. მართლაც ის დებულება რათა ღირს, რომ სადაც არ უნდა გაიმარჯვოს ბოლშევიზმმა, გინდ პოლინეზიაში, უკანასკნელი საბჭოთა კავშირის წევრად ხდება ავტომატიურათ.

მოსკოვის იმპერიალიზმი, როგორც ხედავთ, სხვა ჯურისაა, ვინემ ჩვეულებრივი, აქამდისინ გაგონილი, ის არის პ ლ ა ნ ე ტ ა რ უ ლ ი . ამიტომ, ცოტა არ იყოს, ნაცარქეიობას წააგავს ის, მაგრამ ეს არ უშლის მას ნამდვილ კატასტროფად იქცეს ამა

თუ იმ ქვეყნისათვის. ასე მაგ., მე-31-ე თეზისი ბრძანებს: «ბრძოლა ყველა სახის პაციფიზმთან და პროპაგანდა კომუნისტური ლოზუნგებისა, პირველ რიგში, საკუთარ იმპერიალიზმის ტურ სამშობლოს და მამარცხების ლოზუნგისა, და გარდაქმნა იმპერიალიზმისა სამოქალაქო ომად, მუშაობა ჯარისკაცებში და მეზღვაურებში, შექმნა არალეგალური უჯრედებისა, მუშაობა გლენობაში — ი ძირითადი ამოცანები ამ დარგში».

შემცდარი ვიქნებოდით დაგვევა, რომ ბოლშევიკები, მზავსათ ძველი ანარქო-სინდიკალისტებისა, არ სცნობენ საზოგადოთ სამშობლოს და მით ერთგვარ უანგარობას იჩემებენ თავისთვის. არასფერი ამის მზგავსი. მათი მანიფესტი საბჭოთა კავშირის «საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოდ» აცხადებს. მაშასადამე, სამშობლო კი არსებობს, მაგრამ ერთად ერთი — რუსეთი, და სწორეთ ამას უნდა შესწიროს დანარჩენ ქვეყნების პროლეტარიატმა თავისი სამშობლო. ან კიდევ, თუ სხვა ქვეყნები, სამოქალაქო ომის მეოხებით, ბოლშევიკურ გადატრიალებას მოახდენენ, ისინი თავის თავათ უერთდებიან უკვე არსებულ სამოთხეს — რუსეთს და მაშინ სამშობლოს სახელის ტარების ღირსი ხდებიან. სხვა სამშობლოები ხომ «იმპერიალისტური» არიან, როგორც ზევით დავინახეთ.

ცხადია, მაშასადამე, მოსკოვიტები, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ გახლავან ულტრანაციონალისტები და ულტრაიმპერიალისტები, — თან იმდენათ საშიში, რომ ცარისტული ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი მოსავნია შედარებით. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ ცარიზმი საკუთარ შეიარაღებულ ძალებზე ამყარებდა თავის იმპერიალისტურ პოლიტიკას, მაშინ როდესაც ბოლშევიზმი, ეწვევა რა იმავე შეიარაღებას კიდევ უფრო ინტენსიურათ, რანმავს მშრომელ მასებს სხვა ქვეყნებში მათი სამშობლოს გასაცემათ და დასამხრობათ.

განსხვავებულ ელჩი რაკოვსკის გაქცევა საფრანგეთიდან შარშან, რა ბრალდებოდა მას? კომინტერნის აღმასკომის ერთ ქაღალდზე ხელისმწერა, სადაც სხვა ქვეყნების მუშებს მოუწოდებენ — დაჰკათ თქვენს სამშობლოსო. ჩიჩერინი ბეჯითათ იცავდა რაკოვსკის, მაგრამ ამათ; ბრიანი უთვლიდა მას: ელჩი, რომელიც ასეთი მოწოდებით მიმართავს იმ ქვეყნის მუშებს, სადაც თვითონ წარმომადგენელად არის, მიუღებელიაო.

უეჭველია, ჩიჩერინი უფრო მართალი იქნებოდა ამ დავაში, მას რომ სიმართლე ეთქვა. როცა გვეცნობდით — შეეძლო მას ეპასუხნა, — თქვენ კარგათ იცოდით, რომ რაკოვსკი, თვითონ მე, მთელი სოვნარკომი პოლიტბიუროს სრულს განკარგულებაში ვართ, ეს კი ბრძანებელია კომინტერნის, აქედან საფრანგეთის კომპარტიისა და ვიმედოვნებთ, ჩქარა მომავალში თვით საფრანგეთისა!

მაგრამ ასეთი გულახდილობა მხდალთა ადათი არ არის. მოსკოვი, ერთხელ მთავრობის სახით, წელებზედ ფეხს იდგამს, რომ მიაღწიოს ცნობას ამერიკის მიერ, ინგლისთან შეწყვეტილი დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენას, გზანის დღელ-

გაციებს ყენევაში, ხელს აწერს კელოგის პაქტს... ხლოო მეორეხელ, კომინტერნის სახით, იგივე მოსკოვი ჰქმნის ახალ ლექსიკონს რჩეულ ლანდვა-გინებითა იმავე ამერიკის, ინგლისის, ერთა ლიგის, საერთოთ ყველა მთავრობათა მიმართ.

კომინტერნის პროგრამა-კანონში, გარდა ზოგად დებულებათა, მოთავსებულია სპეციალური და კონკრეტული ბრძანებები თვითეულ ქვეყნის კომპარტიისათვის (თეზისები 44-56). უნდა ითქვას, მოსკოვს განსაკუთრებით ნიშანში აქვს ამოღებული ინგლისი, საფრანგეთი. პოლონეთი და იაპონია, რომელთა განადგურება «დაკუთრით» წესით უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, ის არ ინდობს გერმანიასაც, რომელიც «ეროვნული დამცირების ხანაში პროლეტარულ სახელმწიფოსთან ექებდა შეთანხმებას, ხლოო დღეს დასავლეთის, ე. ი. იმპერიალისტურ და ანტისაბჭოთა ორიენტაციანე გადვიდაო» (თეზისი 10).

დაუწერა რა თვითეულ კომპარტიას «საკუთარ იმპერიალისტურ სამშობლოს დამარცხების კანონი», კომინტერნი გადადის საბჭოთა კავშირის კომპარტიანე და უკმეფს მას გუნდრუკს თავბრუდას ხნამდე (თეზისი 57). ვინ მოსთვლის, რა სასწაული არ მოუხდენია მას: მრეწველობის სოციალისტური გარდაქმნა, სასოფლო მეურნეობაშიც ამ გზანე შედგომა, ბიუროკრატიული გაქვავების მოსპობა, ტროცკიზმის დამარცხება, თვითკრიტიკა...

და ბოლოს: «კონგრესი გამოსთქვამს რწმენას, რომ კომპარტია (რუსეთის) გამოვა ძლევამოსილი არამც თუ ყოველგვარ ეკონომიურ სიძნელიდან, არამედ, საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით, ყოველგვარ კონფლიტიდან, რომელიც სისტემატიურათ მზადდება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მართველ წრეებში, ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ».

როგორც ხედავთ, მოსკოვი დიდი წარმოდგენისა თავის თავზე. ასე გვეგონებათ, დედა-მიწის ხუთივე ნაწილის სახელმწიფოები და მათი მთავრობები მეტს არაფერს აკეთებენ, არაფერზე ზრუნავენ, თუ არა «პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს» დაქვევანე. ეს რომ ასე იყოს, ყველა სახელმწიფოები კი არა თითო-ორორას, მათ შორის, რომ დაესახა სერიოზულათ ეს მიზანი, ბოლშევიკური დიქტატურის ხსენებაც არ იქნებოდა აქამდისინ.

იყო დრო, როცა ოქტომბრის გადატრიალება ერთგვარ თანაგრძნობას იწვევდა დასავლეთის მუშებში, და მთავრობანიც, ამის და მიხედვით, სამხედრო ზომებს მიმართავდენ (ინტერვენცია). შემდეგ საქმე ისე შეტრიალდა, რომ მთავრობები სცნობენ მოსკოვს, ხლოო მუშათა ორგანიზაციები ზურგს შეაქცევენ მას. დღეს დგომარეობა გარკვეულია საზღვრების იქითა და აქითა მხარეზე: საბჭოთა რეჟიმი ინარჩუნება, სოციალისტური ამშენებლობა პირველყოფილ მტაცობრივ მეურნეობად იქცა, უზარმაზარი სახელმწიფო იხრაკება თავისივე წვენში... საბჭოთა მთავრობა ხელს აშვერს გარეთ, მშველელი არსაიდან სჩანს, სიკვდილის ცელი თავს წადგომია.

მით უფრო გამწარებით მოუწოდებს პოლიტიკურს ფსევდონიმი — კომინტერნი საერთაშორისო



პროლეტარიატს შევლისათვის! მით უფრო გამზავებით ესმის ის თავზე ამავე საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადებს—სოციალისტებს, რომელნიც «გადადიან კაპიტალიზმის მორცხვი დაცვიდან მის აშკარა და აქტიურ ამშენებლობაზე, კლასთა შორის ბრძოლიდან წავსვნი, სამშობლოს დაცვიდან ომის სამზადისზე ს. ს. კ. წინააღმდეგ»... (თეზისი 19).

უმადურობაც ასეთი უნდა! სოციალისტური ინტერნაციონალი თავის ყრილობაზედ ჰამბურგში, მარსელში და ბრიუსელში სწორეთ იმაზე ზრუნავდა სისტემატიურათ, რომ შეუძლებელი გაეხადა ყოველი სამხედრო გალაშქრება რუსეთის წინააღმდეგ.

განა არ იცის ეს მოსკოვმა? იცის და კიდევ როგორ, მაგრამ ის მაინც ბრანშორეულია, რატომ? იმიტომ რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ბელა-

დები არ გამოდიან საკუთარ სამშობლოს მოღალატედ და ჯალათად, პლანეტარული იმპერიალიზმის გასამარჯვებლათ!

უსაზღვროა მოსკოვის უტიფრობა, და ეს შესაძლებელია მართლ იმ ქვეყანაში, საიდანაც გაისმა სულ პირველათ ლოზუნგი დაძმობილები სს, მიმართული განსაცდელში ჩავარდნილ საკუთარ სამშობლოს წასაქცევათ.

ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, რომ ბოლშევიზმის, ლენინიზმის დედა იყო და არის უკულტურობა, ჩამორჩენა, სიბნელე. აქედან წარმოდგება უტიფრობაც, საზღვრის დაუდებლობა სიტყვა-პასუხში, მოქმედებაში, ჯერ არ მოსწრებულ დანაშაულებში, რომელსაც სხადიან, საბედისწერა ოქტომბრიდან, მოსკოვის დიქტატორნი ქვეყნის და ერთა მიმართ.

ს ა ბ ჯ ო ე ბ ი ს ს ა მ ო თ ნ ე მ ი .

თუმცა განვლილი ათი წელი მკერმეტყველურათ ლაღადებს ბოლშევიკების უბადრუკობაზე, მათ პოლიტიკურ და ეკონომიურ სიკოტრუნე, მაგრამ შორს გადმხვეწილმა, როდესაც ყოველდღიურათ ვერ ხედავ მათ «საქმიანობას», შეიძლება იფიქროთ ზოგიერთ მომენტებში, არსებობენ და შეიძლება რამეს აკეთებნო. მაგრამ როგორც კი მათ სინამდვილეს დაუახლოვდებით, თუნდაც ეს იყოს მათივე «პრესის» საშუალებით, თქვენ კიდევ ზედმეტად რწმუნდებით, რომ ბოლშევიზმი უდიდესი ბოროტებაა და მისგან კეთილი საქმე არასოდეს იქნების.

საბჭოთა სამეფოში თავისუფალი პრესა ხომ არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ მთავრობის მიერ დაქირავებული მოხელე-მწერლები. დაქირავებული პრესა, თავისთავათ ცხადია, დამქირავებელს ვერ აწყენიებს, თავისუფალ სიტყვს ვერ ეტყვის, უსამართლობას ვერ ამხელს. ბოლშევიკური პრესა სავსებით გაწრთვნილია მორჩილებაში, კურტიზანის ხელობა მას ზედმიწევნით აქვს შესწავლილი. მაგრამ ბოლშევიკურ «სამოთხეში» უბედურება ისე დიდია, მდგომარეობა ისე ჯოჯოხეთურია, რომ ხშირათ შეუძლებელი ხდება მისი სავსებით მიჩქმალვა: საითაც არ უნდა გაიხედო, გაუივრება და კვენესა ისმის. ვალაპარაკათ თვით «იხვესტია»:

არ ი მო ვ ე ბ ა ს ა ქ ო ნ ე ლ ი . «უკრაინაში წელს მოსავალი უარესია ვიდრე სხვა ადგილებში, მიუხედავათ ამისა აქ არის საკმარისი საქონელი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სადაც უკეთესი მოსავალია, იქ მეტი მოთხოვნა იქნება საქონლის. უკვე ციმბირიდან (კარგი მოსავალია) იტყობინებიან, რომ იქ საქონლის დიდი ნაკლულაზანებაა».

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა დ ა ც ე მ უ ლ ი ა . «მოსავლიანობა რუსეთში ოთხჯერ ნაკლებია, ვინემ დანიაში, გერმანიაში და სხვ. რუსეთში კიდევ არის ხმარებაში ხუთი მილიონი ხის გუთანია»...

ს ი ძ ვ ი რ ე . «სამრეწველო ნაწარმოები რუსეთში გაცილებით უფრო ძვირია, ვინემ კაპიტალისტურ ქვეყნებში»...

მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ უ ლ ი ა . «კვა-

ლიფიციურ მუშათა რიცხვი შემცირებულია, რომელთაგან ბევრი დაიღუპა სამოქალაქო ომში, ბევრი ადმინისტრაციაში მსახურებს...

შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა დ ა ც ე მ უ ლ ი ა . «განშირდა სამუშაოს მიტოვება, დაეცა შრომის დისციპლინა როგორც მუშებს შორის, ისე დაწესებულებების საადმინისტრაციო-სატეხნიკო შემადგენლობათა შორის...»

ლენინგრადის ქარხანა-ფაბრიკებში საწარმოვო თათბირები ჩაფუშვის საშიშროების წინ დგას. შრომის ნაყოფიერება ეცემა...»

გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა ნ ო ვ ა გ ე ს ა რ ი ძ ლ ე ვ ი ა ნ . «გლეხები რძეს არ იძლევიან, რადგან ისინი რძის საფასურათ ფაქტიურათ არსებულ ნომინალურ ფასებზე გაცილებით უფრო ნაკლებს იღებენ...»

მიმდინარე სამეურნეო წელს «კულაკებმა» დააკავეს ხორბლის დიდი ნაწილი, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო ძალისთვის მიემართა...»

ნესტისაგან დაიღუპა 30 მილ. ფუთი ხორბალი»...

ბ ი ნ ე ბ ი ა რ ი მ ო ვ ე ბ ა . «ხარკოვში საბინაო კრიზისის გამო ჩატარებულ იქნა არამშრომელ ელემენტების ბინებიდან გამორეკის კამპანია. რათა მათ ბინებში ჩასახლებულ იქნან მუშები. საქირთა 700 ბინა, 400 უკვე განთავისუფლებულია».

ტ ე რ ო რ ი მ ძ ი ნ ვ ა რ ე ბ ს . «მასალებიდან ცხადია, რომ უპარტიო მუშები უნდობლობით გვეპყრობიან. არის განცხადებები იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციის გაკრიტიკებისათვის ისინი დაისჯებიან, დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან და სხვა. განცხადებები იმის შესახებ, რომ «მე ვიქნები დათხოვნილი თუ გამოვალ ადმინისტრაციის კრიტიკით», წითელი ზოლივით სჩანს მთელ რიგ განცხადებებში. ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენში რეპრესიები შემთხვევითი მოვლენა არაა» (მოხსენება ლეგელისი).

უმეშვევართათვის არსადანა სამართალი. «შრომის ბირჟაზე გამეფებულია ბიუროკრატისმი, მუშებისადმი უდიერი მოპყრობა და მექრთამეობა» (შრომ. სახ. კომ.).

ასეთი ენით ლაპარაკობენ თვით ბოლშევიკები.

რასაკვირველია ბოლშევიკური პრესა ყოველ ღონეს ღონობს, რომ სინამდვილეს პირი დაბანოს, რომ ის რაც შეიძლება უკეთესათ მოაჩვენოს როგორც თავისი სიანებს, ისე სხვებს, მაგრამ მაინც რას ვხედავთ. არ იშოვება საქონელი, მეფობს სიჭირბეჭობა, დაცემულია მეურნეობა, დაცემულია აგრეთვე შრომის ნაყოფიერება, გლეხები სანოვაგეს არ იძლევიან, მთავრობა ძალით ართმევს.

არ იშოვება ბინები, არაბოლშევიკებს ქუჩაში ყრიან და მათ ბინებში საიმედო ელემენტებს ასახელებენ; გამეფებულია ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, ტერორი, განადგურებულია მუშათა კლასი.

აი მკრთალი სურათი იმ ჯოჯოხეთურ ვითარებისა, რომელსაც საბჭოების «სამოთხეში» აქვს აღვსილი.

ათვალიერებ ბოლშევიკურ პრესას და ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო გრძნობა გიპყრობს—სიბრაძეული და სიბრაზე. გებრალეობა ხალხი, რომელიც

მედროვეთა მსხვერპლი გამხდარა, გეცოდება ხალხი, რომელიც იტანჯვის არაფრისთვის, უმიზნოთ, უაზროთ, გეცოდება და ამავე დროს სიბრაზე გიპყრობს იმ ხალხისადმი, რომელმაც თვით დაიღო და სხვებსაც დააღო ეს მონობის უღელი. ნათქვამია, ყოველი ერთი ღირსია საკუთარი მთავრობისა, რუსის ხალხიც შესაძლებელია ღირსია იყოს ბოლშევიკურ ხელისუფლების, მაგრამ ქართველ ერს ხომ საკუთარი დემოკრატიული მთავრობა ყავდა და ყავს, რა უშუაშა საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება, ის ხომ მოსკოვიდან მოსულია?! ქართველი ერთი ერთ დღესაც არ მოითმენდა ბოლშევიკურ რეჟიმს, რომ მას უცხო ძალა არ ამაგრებდეს ჩვენში. მტერმა სიმრავლით გვძლია. დიახ, მტერმა სიმრავლით გვძლია, მაგრამ მსოფლიოს სინდისი ჩვენთანაა და დღეს თუ არა ხვალ გავიმარჯვებთ—ასეთია ძალა «სიმართლე—ქეშმარიტებისა».

ილია ნუგუბიძე.

რუსეთის იმპერიის დიშემუცება.

ჩვენ თვალწინ რუსეთის კრიზისი მოხდა, ის ჯერ კიდევ არ დასრულებულა და არც არავის შეუძლია სთქვას,—როდის გათავდება იგი და რა სახეს მიიღებს. ომმა და რევოლუციამ მოსპო არა მარტო რუსეთის ძველი სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობა, არამედ დაშალა თვით რუსეთიც, როგორც იმპერია. მას ჩამოშორდა პოლონეთი, ფინლანდია, ბალტიის მხარე და ბრძოლა სწარმოებს უკრაინის, კავკასიის და სხვა ერების განთავისუფლებისათვის. მართალია ბოლშევიკებმა დაშლის პროცესი გარეგნულად შეაჩერეს, მაგრამ ამით კრიზისის ბოლო არ ეღება. ამის შემდეგ იმპერიის მოწინააღმდეგე ძალა კიდევ უფრო დაიზარა და დავაჟაკდა, ხოლო რუსეთის იმპერიის ძალა დასუსტდა. გარდა ამისა კრიზისი სწარმოებს ისეთ ხანაში, როცა საერთო იმპერიალიზმი სუსტდება. ასე რომ საკმარისია საბჭოთა კავშირს რაიმე გართულება დაუდგეს, რომ ამ ძალებმა ისევ თავი წამოყონ და იმპერიის რკალის გარღვევას შეეცადონ.

უფრო შორს მჭვრეტელი რუსეთის პოლიტიკუბენ მოღვაწენი ამ საშიშროებას ხედავენ და ცდილობენ მის თავიდან აცილებას. აქედან გამომდინარეობდა «მშვიდობიანი გზით» ბოლშევიზმის ლიკვიდაციის ტაქტიკა*). გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რუს ს. დ. პარტია, რომლის ტაქტიკა თავიდანვე აღმოცენდა დემოკრატიის ძალების სისუსტეზე და რეაქციის საშიშროების ნიადაგზე, ხოლო ევრაზიელების, მილიუკოვისა და ესერების მშვიდობიან ტაქტიკას საფუძვლათ უდევს რუსეთის დაშლის საშიშროება.

საბოლოოთ საკითხს ვერც «მშვიდობიანი ტაქტიკა»

*) მილიუკოვის გახ. «პ. ნოვ.» ამ წლის 22 ივლისის მეთაურში სწერდა: საქმე იმაშია არ არის, რომ ომის გამო ბოლშევიკების დიქტატურა დაიდუქება, არამედ მასში, რომ დიქტატურას თან რუსეთიც გადაეყვება.

ტიკა» სწყვეტს, ვინაიდან გართულებული მდგომარეობა რუსეთს როდესმე მაინც დაუდგება და ამას იგი ვერ გადაიტანს ვერც საბჭოთა კავშირის და ვერც სხვა სახით. მაშასადამე საჭიროა ისეთი საშუალების გამონახვა, რომელიც ერთხელ და საბოლოოთ მოუღებს ბოლოს იმპერიის კრიზისს და ამავე დროს ხელშეუხლებლათ დასტოვებს «დიდ რუსეთსაც». როგორ შეიძლება ეს?

უფრო წინდახედული რეალისტი რუსი პოლიტიკოსები ფიქრობენ წავიდნ კოპრომისზე იმ ერებთან, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან ერთი სიტყვით მოიქცენ ისე, როგორც ასეთ შემთხვევაში იქცევა ინგლისის სახელმწიფოებრივი ტრადიციული პოლიტიკა. მილიუკოვისა და რესპუბლიკანურ დემოკრატების აზრით, კრიზისის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა რუსეთში შემოღებულ იქნეს ფედერატიული პრინციპზე აგებული შეერთებული შტატები მზგავსად ამერიკისა. დაახლოვებით ამავე შეხედულებას იზიარებს სახ. გარეთელი ესერების პარტიის უმრავლესობა. გამონაკლისს შეადგენს ჩერნოვის ჯგუფი, რომელიც უფრო ნათლათ აფასებს საბჭოთა კავშირში შექმნილ რეალურ მდგომარეობას და რომ სავსებით არ დასწყდეს მოსკოვთან შემაერთებელი ძაფები, ცთილობს თავისუფალ ერთა ლიგის გარშემო აღმის. ევროპის ერების თავის მოყრას.

ევრაზიელები სავსებით იზიარებენ ბოლშევიკების ნაციონალურ პროგრამას და ტაქტიკას. განსაკუთრებით მოსწონთ უკანასკნელი. მათის აზრით ბოლშევიკებმა სისწოროთ დააფასეს ერების მოძრაობა და ამავე დროს უზრუნველყვეს რუსის ერის დიდპყრობელობა. საჭიროა მხოლოდ ბოლშევიკების შეცვლა ევრაზიელებით და რუსის ერიც თავის «ისტორიულ მისიას» განახორციელებს, ფიქრობენ ისინი.

რაც შეეხება მონარქისტებს, ისინიც ხედავენ,



რომ ერთი და განუყოფელი რუსეთის საქმე ცუდად არის და ამიტომ იძულებული არიან ილაპარაკონ ერების რალაც კულტურულ უფლებებზე.

მიუხედავად ახრთა სხვადასხვაობისა, ყველა ეს პარტიები და ჯგუფები, დაწყებული ბლოშევიკებით და გათავებული მონარქისტებით, რომ მათი ეროვნული პროგრამა თავისუფლებისთვის მებრძოლ ერთათვის უფრო მისაღები იქნეს, ამტკიცებენ: რუს. იმპერია, ანუ დღევანდელი საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებულ კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენს; რომ ის პროგრესიული მოვლენა არის საერთაშორისო თვალსაზრისით და კერძოდ აღმოს. ევროპაში; რომ მისი დაშლა ვნებას მოუტანს, როგორც რუსებს, ისე მასში შემავალ ერებს და მათსადაც მისი დანაწილება რეგრესია და არაპროგრესია. ვინც მათსავით არ მსჯელობს და არ მოქმედებს, იგი მათის აზრით დიდ დანაშაულებს ჩადის კაცობრიობისა და კულტურის წინაშე.

როგორც ხედავთ საბუთი სერიოზულია და ბრალდება მაგარი. ვნახთ რამდენათ მართალი არიან ისინი.

თავიდანვე უნდა შევნიშნო, რომ მე ლაპარაკი მაქვს რუსეთის იმპერიაზე და მის თაყვანისმცემლებზე და არა რუსის ხალხზე. ამ უკანასკნელს იმპერიის შექმნამ ისეთივე ვნება მოუტანს, როგორც მასში შემავალ დანარჩენ ერებს. პროფეს. ვ. კლიუჩევსკიმ რუსეთის იმპერიისა და რუსის ხალხის ურთიერთობა მოკლეთ ასე გამოხატა: «სახელმწიფო სივდებოდა, ხოლო ხალხი ჭკნებოდა».

სხვანაირათ არც შეიძლებოდა. რუსეთის იმპერია წარმოიშვა და განვითარდა არა იმ წესითა და იმ სახით, როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, არამედ ტიპიურ აღმოსავლეთური წესითა და მეთოდით. მისი დაპყრობითი მოტივი გამომდინარეობდა არა ეკონომიური სიმსუქნიდან და სისხლის სიჭარბიდან, როგორც ეს ხდებოდა და ხდება კაპიტალისტურათ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ სამხედრო დაპყრობითი მიზნებისგან, როგორც ამას ადგილი ქონდა აზიის სახელმწიფოთა წარმოშობაში. ამიტომ ის ხელს უშლიდა, როგორც იმ ერების განვითარებას, რომლებიც მის საზღვრებში მოემწყვდნენ, აგრეთვე თვით რუსეთის ერისასაც. ის შეგნებულათ აწობდა, როგორც რუსეთის კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას, ისე სპარსეთის, ოსმალეთის და ყველა იმ ქვეყნების, რომლებზეც კი ხელი მიუწვდებოდა. იგი «საერთაშორისო უნდარმი» იყო, როგორც ევროპისთვის, ისე აზიისთვის, ისე რუსეთისთვის. და განა მას ამ მხრით ცოტა დანაშაული მიუძღვის კაცობრიობის წინაშე! ამიტომ მან ვერ შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი შედარებით პროგრესიული როლიც კი, როგორც ითამაშეს ევროპის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა. და ეს იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთა სიძლიერე წარმოშობილი იყო ეკონომიური და კულტურული განვითარების საფუძველზე, ხოლო რუსეთის—მარტო ტლანქი, ფიზიკურ ძალაზე. ამიტომ ის უფრო აღმოსავლეთური დესპოტიური იმპერია იყო, ვინემ ევროპიული. და როდესაც ევროპიელები ამ-

ტკიცებენ, რომ რუსეთის იმპერიის შექმნაში მონაწილეობა და ჩინგის ყანმა უფრო დიდი როლი ითამაშეს, ვინემ რუსის ხალხმა, იოანე მრისხანემ და პეტრე დიდმა, ამაში 90 პროც. სიმართლეა.

ევროპიელები ამ ფაქტში დადებით მოვლენას ხედავენ, მით აღტაცებაში მოდიან, ჩვენთვის კი იგი უარყოფითი და რეგრესიულია. და ვინც ამბობს, რომ რუს. იმპერია დიდი პროგრესიული ღირებულება იყო და არის. მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი წარმოშობა და განვითარება ასეთი არ ყოფილა. ჩვენ კი, ჩვენი დებულების დასამტკიცებლათ მოვიყვანთ რუს მეცნიერებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხედულებას და განგებ აუვლით გვერდს უცხოდლების აზრს, რათა ვინემ ცალმხრივობა არ დაგვწამოს.

გერცენი ყველასათვის ავტორიტეტი არ არის, მიუხედავად ამისა, თავის ერის სიყვარულს, მას ვერავინ ვერ წაართმევს. რუსეთის ერის წარსულით და მომავალით მუდამ დაინტერესებული და დაფიქრებული ა. გერცენი სწერდა: «სხვა ერების ისტორია—მათი განთავისუფლების მოთხრობაა, ხოლო რუსეთის—ბატონყმური მგდომარეობისა და თვითპყრობელობის განვითარებაა». მეორე ადგილას იმავე აზრს გერცენი შემდეგნაირათ გამოსთქვამს: «განმტკიცდა რუს. სახელმწიფო საშინელი საშვადლებით: მონობით, მათახებით, სიკვდილით დასჯით მიერეკებოდენ რუსის ხალხს უზარმაზარი იმპერიის შესაქმნელათ» (ა. გერცენი «ბილოე ი დუში» გვ. 463. გამ. 1921 წ.).

შეიძლება ვინემ სთქვას, და ასეთები მოინახებიან, რომ გერცენს ასე, დესპოტიზმის სიძულვილი ალაპარაკებოდა. მაშ მოუსმინოთ პროფ. ვ. კლიუჩევსკის, რომელიც ყველასათვის ავტორიტეტს წარმოადგენს და რომელსაც რუსეთის ისტორიის უცოდინარეობას ვერავინ დასწამებს. «სახელმწიფოს ტერიტორიის განვითარება, ამბობს კლიუჩევსკი თავის ისტორიის ლექციებში, მოითხოვდა ხალხისაგან უამრავ მსხვერპლს, სთქვენდა მის დოვლათს და აძლიერებდა ხელისუფლებას, ხოლო თვით ხალხის შეგნებასა და ნივთიერ მდგომარეობას არ სწევდი მაღლა. იგი ამდიდრებდა საზინას და კერძოდ პირთ და პოლიტიკურათ ავიწროებდა მშრომელ კლასებს. ეროვნული ძალის განვითარება უკან რჩებოდა იმ ამოცანებს, რომელიც ისმებოდა სახელმწიფოს წინაშე მისი გარეგნულათ გაზრდას გამა».

რუსეთის ისტორიის მეორე სპეციალისტი და რუს. იმპერიის დიდი თაყვანისმცემელი პროფ. პ. მილიუკოვი ამავე კითხვის შესახებ შემდეგს სწერს: «პეტრე დიდის სავარეო ამოცანები დაუდგა რუსის ხალხს წინ ისეთ დროს, როცა მას არ მოეპოვებოდა საკმაო მატერიალური და კულტურული საშვადლებანი მათ განსახორციელებლათ. სახელმწიფოს პოლიტიკურმა ზრდამ ისე გაუსწრო წინ მისს ეკონომიურ განვითარებას, ქვეყნის განადგურების ფასით რუსეთმა მიიღო ევროპის სახელმწიფოს ტიტულიო». (პ. მილიუკოვი «რუს. სახელმწიფოს მეურნეობა და პეტრე პირველის რეფორმები» გვ. 735 გამ 1892 წ.).

ეს წინააღმდეგობა—ეკონომიურ-კულტურულ ჩამორჩენილობასა და იმპერიის გარეგნულ სიძლიერეს შორის, რუსეთს არასოდეს არ გამოუწირობია. იგი ნანგრევით აზიურით, უკულტურო და ღარიბი ქვეყანა იყო და ასეთი დარჩა უკანასკნელ დრომდის. რევოლიუციას უნდა გამოესწორებია ეს ხაზი, ასეთი იყო მისი ერთი ამოცანათაგანი. მაგრამ ეს არ მოხდა და ბოლშევიზმმა რუსეთი კიდევ უფრო უკან გადაისროლა.

შეიძლება გერცენის, კლიუჩევსკისა და მილიუკოვის აზრი ვინმემ მოძველებულათ ჩათვალს. შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ყოველივე ეს იწერებოდა რევოლიუციამდის, როცა რუს. იმპერიის მნიშვნელობა ყველას კარგათ არ ქონდა შეგნებულიყო. მაგრამ ამავე აზრის არიან დღევანდელი მკვლევარებიც:

ყველასათვის ცნობილი ეკონომისტი პ. სტრუვე სწერს: «საუბედურათ რუსეთი იყო შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორც 1894 წ., ისე 1905 და ისე 1917 წელს. რუსეთის ეკონომიური განვითარება, შედარებით ინგლისის, შეერთებული შტატების, გერმანიის და წარმოიდგინეთ საფრანგეთის განვითარებასთანაც კი, იმდენათ ჩამორჩენილია, რომ მას არ შეუძლია თავისი მრეწველობის საკუთარი ძალით მოწყობა». (პ. სტრუვე «თავისუფლება და საკუთრება» გაზ. «როსია» № 27 1928 წ.) მიუხედავად ამისა, პ. სტრუვე დიდ რუსეთზე უარს არ ამბობს და თავს იმით ინუჯგუბს, რომ რუსეთი თავისი ბუნებრივი სიმდიდრით ძლიერ წააგავს შეერთებულ შტატებს. ნეტარ არიან მორწმუნენი!

მეორე გამოჩენილი ეკონომისტი ს. პროკოფოვიჩი უკეთებს რა საერთო მიმოხილვას ერთა წარმოშობას და ანიჭებს რა საწარმოვე ძალების განვითარებას მთავარ როლს ნაციის წარმოშობაში, მიღის ასეთ დასკვნამდის: «აზიაში ერთა განვითარების გზები იყო სხვაგვარი, ვინემ ევროპაში. მაგრამ არც ევროპაში ყოფილა იგი ერთგვარი. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ბატონობდა სამი სამხედრო სახელმწიფო—ავსტრია, ოსმალეთი და რუსეთი. ეკონომიური განვითარებით ისინი ძალიერ ჩამორჩენ თავის ევროპიულ მეზობლებს. კლიუჩევლისტური განვითარების პროცესი მათში ან ნელის ნაბიჯით სწარმოებდა, ან სულ არ იყო. ამიტომ ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე არ წარმოიშვა ისეთი ნაციონალური სახალხო მეურნეობა, და არ მოხდა ეთნიური ერების ისეთი შეერთება-შედულება, რომელიც ასე ახასიათებს ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას. ეკონომიური ჩამორჩენილობა იყო მთავარი მიზეზი ამ იმპერიების მსოფლიო ომში დამარცხებისა. შედეგათ ამას მოყვა ავსტრო-უნგრეთის საფუძვლი დაშლა, ხოლო რუსეთის ჩამოშორდა მისი დასავლეთის ნაწილი». (ს. პროკოპოვიჩი «ნაც. კითხვის ეკონომიური საფუძველები» ურ. ეკონ. კრებული № 9 1927 წ.)

პროკოფოვიჩი არ აკეთებს აქედან შესაფერ დასკვნას რუს. იმპერიისათვის. მას არ უკვირს და ბუნებრივათაც მიაჩნია, რომ ოსმალეთი და ავსტრო-უნგრეთი დაიშალა, მაგრამ მას არ უნდა იგივე განმე-

ორდეს რუს. იმპერიის თავზე. რით გადაარჩენს პროკოფოვიჩი რუსეთს ამ განსაცდელისაგან, ეს ჩვენ არ ვიცით. ხოლო ერთი კი ცხადია—ის ეკონომიური ფაქტორები, რომელსაც იგი თანამედროვე სახელმწიფოს საფუძვლათ სთვლის, რუსეთს არც წარსულში გააჩნდა და არც დღეს გააჩნია.

გელა ვნახოთ, რას ამბობს ამ კითხვის შესახებ სოციალისტი პოლიტიკოსი. რუს ესერების ბელადი ე. სტალინსკი იკვლევს რუსეთის განვითარების ისტორიას და დასკვნის: «ახალმა ისტორიამ არ იცის სახელმწიფოს ასეთი სწრაფი ტერიტორიალური კოლასალური განვითარება, რომელიც შიგნით დატაკი ყოფილს და მდვარიყო ეკონომიური და კუტურული განვითარების უკანასკნელ საფეხურზე. ისტორიაში ეს გამონაკლისის მოვლენას შეადგენს. იგი რუსეთის ისტორიის მთავარი ცენტრალური ანტინომიაა, რომელმაც კიდევ უფრო გადახარა რუსეთის სახელმწიფოს ყალბი განვითარება და აქცია იგი არანორმალურათ. რუსის ხალხს ეს ანტინომია მეტათ ძვირათ დაუჯდა. მან ამის გამო გაიღო მსხვერპლი არა მარტო სისხლით, არამედ მას შესწირა თავისუფლება და მატერიალური ბედნიერება. და ეს მოხდა ასე იმიტომ, რომ რუსეთის გარეგნული სიძლიერე იქმნებოდა არა კულტურის, ტენიკის და საერთო საწარმოვე ძალების განვითარებით. რუსეთი იმარჯვებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო დიდი, შეეძლო უამრავი მსხვერპლის გაღება. ის ამით ძირს უთხრიდა თავის ორგანიზმის სიმარეს, მაგრამ ის მაინც ფეხზე იდგა». (ე. სტალინსკი «რევოლიუციის გზები» გვ. 93 გამოცემა 1923.

დიან, მიუხედავთ თავისი შინაგანი წინააღმდეგობათ, რუსეთის იმპერია მაინც იდგა ფეხზე მანამ, სანამ ძლიერმა ქარიშხალმა არ დაბერა და კითხვა ეხლა სწორეთ იმაშია, შეუძლია თუ არა ამ არა ნორმალური ორგანიზმს ისევე ფეხზე წამოდგომა?!

საინტერესოა ამ კითხვის შესახებ ევრაზიელების აზრიც. იმ ევრაზიელების, რომლებიც რუსეთის «ჩამორჩენილობითა და თავისებურებით» ამყობენ და რომლებიც თავის თავს ბოლშევიკების შემკვიდრებათ სთვლიან. მათი იდეოლოგი თავ. ნ. ტრუბეცკოი შემდეგ ნაირათ ახასიათებს რუს. იმპერიას: «პეტრე დიდს შემოქონდა თავისი რეფორმები რუსის ხალხის დაუკითხავათ; ამიტომ ამ რეფორმების იდეა ორგანიულად უცხო შეიქნა რუსის ხალხისათვის. არც რუსეთი, როგორც დიდი ევროპიული სახელმწიფო და არც ევროპიული პროგრესის იდეალები, რუსის ხალხს არაფერს ეუბნებოდა. რუსეთის ევროპულ დიდპყრობელობას (ველიოდერჯავნიკობას) ერთის მხრით, და რუსეთის ზედაფენების ევროპულ განათლებას მეორეს მხრით, შეეძლო ეარსებებია მანამ, სანამ რუსის ხალხი ხელოვნურათ დადუმებული და უმოძრაო იყო; მაგრამ ერთი და მეორეც უნდა დაზგრეულიყო და მოსპობილიყო, როგორც კი რუსის ხალხი ამეტყველებდა და ამოძრავებდა, ვინაიდან იგი შეადგენდა იმპერიის საფუძველს. იგი დაინძრა ადგილიდან და მასზე ხელოვნურათ აგებული კედლებიც დაინგრავა (ნ. ტრუბეცკოი «ჩვენ და ისინი». ევრაზ. ვრემენიკი, წიგნი 4 გვ. 69).



ერთი სიტყვით გამართლდა ქართული თქმულება-იქ სადაც საფუძველი დანგრეულია, კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია. ევრაზიელებს ეს ახარებს, ამასში ისინი თავისი იდეის სისწორეს ხედავენ და პეტრე დიდის იმპერიის ნანგრევებზე ჩინგის ყაენის ყაიდაზე ევრაზიული იმპერიის აკებას ფიქრობენ.

ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ ავტორთა შეხედულებანი შემთხვევითი გამოთქმული აზრი არ არის, იგი რუსის ავტორიტეტული სახ. მოღვაწეთა დიდი ხნის ნაფიქრალის და ნააზრევის დასკვნაა. ეს შეხედულება იმდენათ ავტორიტეტულია, რომ იგი გამაგრებას არ საუბრობს. მიუხედავად ამისა, მე მაინც მოვიყვან ერთ სტატისტიკურ ცნობას, რათა იგი კიდევ უფრო ნათელი შეიქნეს.

როგორც ვიცით, რუსის ნაციონალისტები, მიუხედავად პარტიული სხვა და სხვაობისა, ამ ბოლო დროს ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ რუსის ერის კაცობრიობის წინაშე კულტურულ მისიის დანიშნულების შესახებ და დიდი რუსეთის საუბრობებს ამითაც ესაბუთებენ. მეცნიერები ამ საკითხს შემდეგ ნაირათ სწყვეტენ: ისინი იკვლევენ, თუ რომელმა ერმა რამდენი აღმოჩენანი და გამოგონებანი მოახდინა და მით კაცობრიობის კულტურის საერთო საღაროში თავისი წვლილი შეიტანა. მათის აზრით ის ერი უფრო კულტურისაა, რომელსაც მეტი აღმოჩენა და გამოგონება აქვს თავის ეროვნულ საღაროში, მე-7 საუკუნიდან მე-12 საუკუნედის ამ მხრით წინა რიგში იდგნენ არაბები, ამის შემდეგ კი მეთაურობას ევროპა კისრულობს. სხვა საუკუნოებს რომ თავი დავანებოთ, მეცხრამეტე საუკუნეთ სურათს იძლევა—ყოველ მილიონ მცხოვრებზე თითო სახელმწიფოში მოდის აღმოჩენა და გამოგონება:

ინგლისში	15.6.	ბელგიაში	6.3.
საფრანგეთში	10.6.	პოლანდიაში	4.4.
გერმანია-ავსტრ.	10.4.	პორტუგალიაში	0.7.
იტალიაში	2.1.	ევროპ. რუსეთში	0.5.
შვეიცარიაში	15.8.	ისპანიაში	0.2.
სკანდინავიაში	7.8.		

ეს ციფრები გვეუბნება მას, რომ კულტურული წინმსვლელობა სახელმწიფოს სიდიდენე სრულებითაც არ არის დამოკიდებული. პატარა შვეიცარიაში ამ ბოლოვამ ამ სფეროში გაცილებით ბევრათ გაუსწორეს წინ დედამიწის ერთი მეექვსედი ტერიტორიის პყრობელ რუსეთს და მეტი შესძინეს კაცობრიობას. ამ უკანასკნელის როლი კაცობრიობის კულტურის ზრდაში პატარა პორტუგალიაზეც კი დაბლა სდგას.

რას გვასწავლის ყოველივე ეს და რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან?

ა) რუს. იმპერია წარმოიშვა არა იმ ნიადაგზე და იმ მეთოდით, როგორზედ აღმოცენდა და განვითარდა თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამიტომ მისი განვითარება იყო არანორმალური, ხალხი სიკვდილი ბუნებრივი. ბ) რუს. იმპერიის გარეგნულმა სიძლიერემ შეიწირა 150 მილიონი ხალხის ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური კეთილდღეობა. მან არ მისცა გასაქანი ქვეყნის საწარ-

მოც ძალებს და ჩაკლა დემოკრატია. გ) რუსეთს არც დღეს გააჩნია ის საერთო ეკონომიურ-კულტურული საფუძველი, რომელზედ შეიძლებოდა ყოფილი იმპერიისგან ერთი მთლიანი სახელმწიფოს შექმნა.

მიუხედავად ამისა, დიდი რუსეთის მოტრფილენი, მის გადარჩენას მაინც ცდილობენ. ბოლშევიკებმა იგი საბჭოთა ფედერაციის სახით შეაკაწიწეს და არსებობს მხოლოდ ფიზიკური ძალის საშვადებით. ევრაზიელები ფიქრობენ მეფის იმპერიის მაგიერ შექმნან ჩინგის ყაენის იმპერია საბჭოთა სისტემის დატაცებით. აქედან რასაკვირვებია სახეირო არაფერი გამოვა, ვინაიდან ჩინგის ყაენის მეთოდმა დაღუპა მონღოლეთი, სპარსეთი, ოსმალეთი და უფსკრულის კარებამდის მიიყვანა თვით რუსეთი. დემოკრატებისა და სოციალისტების შეერთებული შტატების პროექტი ერთი შეხედვით ყველაზე უფრო გონივრული და მიზანშეწონილია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის ნიადაგზე კარგი ხნის განმავლობაში არც ის გამოდგება. გარეგნული მსგავსება თავისთავად ბევრს არრას ნიშნავს. ამერიკის შეერთებული შტატები შექმნა უმთავრესათ ინგლისიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, სკანდინავიიდან და საერთოთ ევროპიდან გასულმა მასსამ, რომელმაც თან გაიტანა—ევროპის კულტურა, კაპიტალიზმი, ინიციატივა და პოლიტიკური აღზრდა. რუსეთს არც ერთი ეს არ გააჩნია. განსაკუთრებით, თუ რუსეთის დემოკრატია თავის მიზნათ დაისახა, როგორც ამას ა. პოტრესოვი გვიჩვენებს («დნი» თებ. 1928 წ.) ყოფილი იმპერიის მთლიანობის დაცვა, იგი შეეწირება მას ისე, როგორც შეეწირა წარსულში.

და როცა ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ რუს. იმპერიის დაღუპვას არ ვსტირით, მისი უირისუფლების გლოვასა და გაწამაწიამი მონაწილეობას არ ვიღებთ, გამწყრალი კილოთი გვეუბნებიან—თქვენ სოციალიზმისა და კულტურის წინაშე დანაშაულს ჩადინხართ! ჩვენ კი, წინააღმდეგ ვფიქრობთ და ისტორია და ფაქტებიც ჩვენს მხარეზეა.

აქ კულტურა და კაცობრიობის ინტერესები არაფერ შუაშია. როცა 1863 წ. პოლენეთმა განთავისუფლება მოინდომა და აჯანყების დროში ამართა, მთელმა რუსეთის საზოგადოებამ მეფის მთავრობას დაუპირა მხარი და ჯალათი მოურავი თავის გმირათ გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პოლენეთი რუსეთზე ეკონომიურათ და კულტურულათ გაცილებით მაღლა იდგა და მთელი კულტურული კაცობრიობა მის თავისუფლებას ექომაგებოდა. რუსის საზოგადოებას ამოქმედებდა მხოლოდ «ველიკოდერჟავნიკული» იდეა და არა სწორათ გაგებული კულტურისა და კაცობრიობის ინტერესები. ერთათ ერთი კაცი, რომელიც უშიშრად იცავდა პოლენეთის თავისუფლებას, და არ შეუშინდა ავტორიტეტის დაკარგვას, იყო გერცენი და მისი უურნალი-ამავე წლის ავგისტოს «ზარიას» ნომერში რუსული ნაციონალიზმის მიერ პოლენეთის წინააღმდეგ ატეხილ განგაშის გამო, იგი სწერდა: «რა სდება რუსის ხალხში—ჩვენ არ ვიცით. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოება, თავადაზნაურობა, ლიბერალები, მეცნიერები და წარმოიდგინეთ მოწაფე-

ბიც კი მოწამლული არიან შოვინიზმით და მათი ორგანიზმი პატრიოტული სიფილიზმით არის გაქვინებული.

იგივე სურათი მეორდება დაახლოებით დღესაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს რუსეთს გერცენი არ ყავს და მისი ავტორიტეტული პრეტენსტი არ გაისმის რუსული «ველიკოდერჟავნიკული» განგაშის წინააღმდეგ.

რაც შეეხება ევრაზიელების «რუსული თავისებურებით» ტრაბაზს და ქალბ. სკობცოვას «დიდი

რუსეთის აღმა-დაღმა ფრენათი» ყოყოობას, ამის შესახებ შეგვიძლია ცნობილი ჩაადავეის სიტყვები განვიმეოროთ: «უცნაური ქალაქია მოსკოვი, ტრაბაზობს მეფე-ზარბაზნით, რომელიც არ ისვრის, ტრაბაზობს მეფე-ზარბაზნით, რომელიც ჩამოვარდა მანამ, სანამ დარტყავდა, და ტრაბაზობს საერთოთ ყოველივე იმით, რაც უაზრობას შეიცავს».

ამ უაზრობით ესლა ჩვენ ვერავინ მოგვხიბლავს.

ჩეხია, 25 ივლისი 1928 წ.

კაქი.

ტიქონები თანამედროვე ქართულ მხატვრულ მწერლობაზე.

ჩვენ ვამაყობდით და ვამაყობთ ახალ ქართულ მწერლობით:—გვაკვირვებდა მისი გაბედული პათოსი, მისი ესთეტიკური და ეთიკური ღირებულება. ჩვენ გვიყვარდა და გვიყვარს დღესაც ის-ქართველი ერის ნიჭიერების, მისი ტემპერამენტის, მისი სიმკვირცხლის გამომხატველი.

ქართულ ლიტერატურის რენესანსს ვდღესასწაულობდით!..

ჩვენ ყველა ვიცნობთ ჩვენი ახალი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს,—მწერლებს, რომელების მხატვრულ შემოქმედებას შეეძლო დაემშვენებია უფრო დიდ კულტურულ ერიბის ხელოვნება. აბა გავისხენოთ!..

პოეზია! ს. აბაშელი და ვ. გაფრინდაშვილი—ეს ორი მაღალ ნიჭიერი მგოსანი-ინტელიგენტი, რომელთა ესთეტიკურმა გემოვნებამ, ალღომ და ლექსის ფსიქიკის შეუდარებელმა ცოდნამ ბევრი შესძინა ქართულ ლექსის, როგორც დახვეწილ მოქნილობას, ისე მის წინაარს.

ი. გრიშაშვილი და გ. ტაბიძე—ეს ქართულ მხატვრულ სიტყვის ვირტუოზები, «გრძნობის მეფეები», რომელთა ყოველი ახალი ნაწარმოები ქართულ საზოგადოებისათვის იმპულსი იყო ახალ წრფელ და ტემპერამენტულ განცდებისათვის:—პირველი სიყვარულ-სიხარულზე, მეორე ტანჯვა-სიყვარულზე მღეროდა.

ა. შანშიაშვილი და ნ. ნადირაძე, პ. იაშვილი და ტ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი და ვარლამ რუხაძე...

ნიჭიერი ქართული ხმები გვესმოდა ქართველებს საქართველოს ნიადაგზე, ტემპერამენტული ჩანგების ყლერა, საქართველოს ბედისათვის, მის ბედნიერებისათვის მომართული.

მხატვრული პროზა! დავასახელოთ მხოლოდ ორი.

ნ. ლორთქიფანიძე—ეს ჩვენი ახალი მწერლობის ჯენტლმენი, რომლის შემოქმედება ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს და მ. ჯავახიშვილი—ეს მართლა ძლიერი სიტყვის და თემის ოსტატი.

ნ. ლორთქიფანიძე—ქუთაისი, მ. ჯავახიშვილი—ტფილისი:—მთელი საქართველო იშლება ჩვენ თვალწინ ამ ორ ნიჭიერ მწერლის მხატვრულ პროზაში—საქართველო წარსული, გუშინდელი, დღევანდელი...

განვიცდიდით ტანჯვას და სახარულს, მწუხარებას და სიყვარულს, თავისუფლებისა და თავდადების გრძნობას,—მომავლის იმედით ცვოცსლობდით.

და დღეს?!—დღესაც გვიყვარს, დღესაც ვამაყობთ, მაგრამ უფრო გუშინდელისათვის გვიყვარს, მით ვამაყობთ.

დღევანდელ ქართულ მწერლობაში ბევრი რამ არის საინტერესო, ბევრი რამ გვაკვირვებს ამიტომ, მაგრამ ის ისე აღარ გვიყვარს, როგორც გვიყვარდა, მით ისე ვეღარ ვამაყობთ, როგორც ვამაყობდით. გამონაკლისებზე არ ვლაპარაკობ.

საქართველოს ლიტერატურის რენესანსის გაბედული სვლა შეჩერდა:—ვერ მოინახა ძალა მის ღრსეულ გაგრძელებისათვის.

ქართული ხელოვანი იძულებული შეიქნა ქედი მოეხარა მოძალადის წინაშე: მის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადა და თავისუფალი ხელოვნება კვლავ დაიპყრო არაბუნებრივმა ტენდენციამ.

ხელოვნებამ საზოგადოდ, ხელოვნებამ, რომელიც ერის გრძნობების გამომხატველია—უნდა იყოს, აუხვია დამპყრობელების ბრძანებით იმ გზას, რომლითაც ჩვეული სიმტიკით მიდიოდა ჩვენი მხატვრული ოლიმპი:

«მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა...»

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედავს მტკიცე გული...»

დიახ, დღევანდელმა ქართულმა ლიტერატურამ აუხვია ნაცად გზას, ბრწყინვალე ტრადიციას და ამით ბასრი მახვილი ჩასცა ქართველი ერის ტანჯულსა და ნაწვალზე სხეულს,—მის «მტკიცე გულს», რომელსაც აქამდე ასეთის აღფრთოვანებითა და გატაცებით უგალობდა;—აუხვია და ამით დაშორდა თავის მშობელს, რომელიც შეუდრეკელის ნებით განაგრძობს თავის გმირულ ბრძოლას საქართველოს მიწაწყალის, მის ეროვნულ სულის დამპყრობელების წინააღმდეგ იმ ურყევ იმედით, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით — საქართველოს განთავისუფლებით — მისი დამოუკიდებლობის აღდგენით გათავდება...



ვინ არის, რომ დღესაც სულს უდგამს ქართულ ლიტერატურას?!

ვინ აძლევს მას სიცოცხლის ძალას?!

ისევ ის მწერალნი, რომელნიც ამ 15-20 წლის წინათ გამოვიდნენ ქართულ მხატვრულ კულტურის ასპარეზზე:—საქართველოს ნიადაგზე წარმოშობილნი და აღზრდილნი ხელოვნების მსახურნი.

ეს მწერლობაა, რომ დღესაც სათავეში უდგას ჩვენს ლიტერატურას, როგორც მისი მხატვრული ტონის მიმცემი.

მისია სიტყვა ქართული, სიტყვა ლამაზი, ლექსს თუ პროზას, რომ დამთავრებულ ფორმას, სახეს,—სიცოცხლეს აძლევს.

აბა ვინ უნდა იყოს ქართული ლიტერატურის წინამძღოლი, ტონის მიმცემი?!

ის უნიჭო და უფორმო მასსა განა, რომელიც თავის თავს «პროლეტარულ მწერლობას» უწოდებს და ამ მასსაში ნ. ზომლეთელი?!

ან შეიძლება ნიკოლოზ მიწისვილია ქართულ მხატვრულ მწერლობის მეთაური, მისი ესთეტიური გზის გამკვლევით?

მართლა უბედური, მართლა საცოდავი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურა, ერთ დროს ასე საამაყო, რომ ეს ასე იყოს.

ქართულ მხატვრულ შემოქმედების ესთეტიკა საბედნიეროდ ჯერ კიდევ იმათ ხელშია, ვისაც სწამდა და უყვარდა საქართველო, მის ხელშია ჯერ კიდევ ფორმა ლიტერატურულ ჩამოყალიბების, მისი მუსიკალობისა.

ხოლო შინაარსი, იდეა მხატვრულ შემოქმედებისა თანდათან იმ საშინელ უფორმო მასსის კლანჭებში ვარდება, რომელიც თავის თავს «პროლეტარულ მწერლობას» უწოდებს, და რომელიც საქართველოს დამპყრობელების ხიმტებით გამაგრებული, ყოველ წმინდა აზრს, წრფელ გრძობას, კეთილ მისწრაფებას ჰკლავს, აღრჩობს, ანადგურებს...

და ამ უბადრუკ, უნიჭო ხალხის ხელში გადადის თანდათან იდეური «ხელმძღვანელობა» ქართველი ერის მწერლობისა—მწერლობისა, რომელსაც სწამდა და უყვარდა საქართველო წრფელი გრძობით, და რომელიც დღეს ისევე დაპყრობილ-დამორჩილებულია, როგორც მისი დატანჯული სამშობლო...

ქართულ მწერლობას,—მწერლობას თავისუფალს, ნიჭიერს, ტრადიციით მდიდარს განადგურებას უქადის კომუნისტური ხელისუფლება და მისი ლიტერატურული აგენტურა,—პასუხად კი ან სიჩუმე, ან «იყავნ ნება შენი»—მოისმის.

«მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი პაერი—
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს—ჩრდილი შემოესია.

გაგიკვირდება: ლექსს რად არ შევლის,—
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად,
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა?

ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან.
ლექსი და აღრჩო ახალ ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან».

სწერს მწუხარ გრძნობით ს. აბაშელი თავის მეგობარს, უდროოდ (შეიძლება დროზე?) გარდაცვლილ ნიჭიერ ნ. ჩხვიპაძეს.—

კომუნისტური «ახალი ამბები» შეიქრენ ქართულ ლიტერატურაში, ზოგან დაეუფლენ კიდევ მას და პასუხად «არსაიღამ ხმა, არსით ძახილი!»..

ესთეტიკა დაშორდა ეთიკას. ფორმა შინაარსს, ლექსი, მხატვრული პროზა ცხოვრებას, მწერალი ერს და იშვა საშინელი ტრაგედია: ქართულმა სიტყვამ, გუშინ რომ საქართველოს უგალობდა, მის დამპყრობელებს დაუწყო გუნდრუჟის ჰკმედა.

ზოგი პოეტები ერთი მეორეს ეცილებიან ლენინის, ოქტომბრის, ზაპსის და თებერვლის ხოტბაში. სტალინ-ჯუღაშვილს—ამ მოლაღატე ქართველს, რომელმაც მშობელ ერს, მის იდეას ღვლეჟი წაუჭირა და აღრჩობს, ერთი ასეთ შესხმას უძღვნის:

«ვინ გამოუშვა ეს გრიგალი პირცეცხლიანი!
ლენინი მოკვდა... ვის უჭირავს ცეცხლის სადავე!
ამდენ ხანს ქარი ჩადგებოდა, შენ რომ გეცლია,
მაგრამ მუშები რკინის ნებით შენ ერთს გადავან,
შენ ხარ ფოლადი... კახაბერი—მართლა სხვა კაცი—
რკინის პალათი ეს ქვეყანა დააბარბაცე»...

მეორე ამ «მხატვრულ შთაგონებით» არ კმაყოფილდება. აქამდე მას თურმე «მზის ნაცვლად მთვარის პატრუჟი უნათებდა», «ცხოვრებაში არსად სჩანდა გმირი «საქები» და «გარს სინამდვილე მთლად უბადრუკი გვერტყა»;—მაგრამ გამონათა მწემ, გამოჩნდა გმირი, ახალი სინამდვილე იშვა და მგოსანი განარებულია,—ის მზად არის თავისი ჩანგი სხვა, «ახალი დროის» ხმაზე მომართოს.

«ნგრევის მაგიერ გიგანტური იწყო შენება,
ჩვენი ეპოქა ოსტატია უსპეტაკესი.
რა საჭიროა ელსინორის მღვრიე ჩვენება,
როცა ამენდა ცეცხლიანი კოშკი ზაპსის?»..
აღარ დავსახელებთ სხვა მაგალითებს.

როგორ გაიმართლებენ ყველა ეს ყოფილნი მსახურნი ქართველი ერისა თავს მომავალ, განთავისუფლებულ საქართველოს წინაშე?!

თუ ფიქრობენ ზოგიერთები: «მადლობა ღმერთს, ამას ჩვენ ვერ მოვესწრებით»—ო. სცდებით ბატონებო!—თუ ამას ფიქრობთ.

«გული ბრძოლისკენ მიმიწვეს ეხლაც;
მაგრამ ეს ვიცი, რომ ძველებურად
არ შემიძლია მე მტერთან შესლა!
ალბად დავკარგე ძალა ქვიტიკრის,
და აღარა მაქვს ბრძოლის უნარი.
ჰო და, ხანდახან გული თუ სტირის,—
გული არ არის გასამტყუნარი»—ამბობს ერთხელ ს. აბაშელი.

და სტირის ჩვენი გულიც,—და «გული არ არის გასამტყუნარი», როდესაც ის ქართველ მწერლებზე და მეგობრებზე სტირის,—იმ მწერლებზე და მეგობრებზე, რომლებიც გუშინ ასეთის ნიჭიერებით აქედრებდენ ჩანგს საქართველოსათვის და დღეს ველარ

ჰხედავენ, «თუ რა ტანჯვას იტევს» მონობის უღლის ქვეშ ეს საქართველო, ეგზომ ჭირნახული...

ინედები წარსულში, ჩერდები ძვირფას მოგონებებზე, — იმედი გექლევა. — ღვთაებრივი სახე აკაკისა გეჩვენება, — ხელს მებრძოლ საქართველოსაკენ იზვერს და ვაჟკაციური პირდაპირობით ამბობს:

«კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!..»

... ძველ ტომში გამოსხლეტილს
არ მოაშულიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა!

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!..»

დღევანდელი ქართველი მწერალი ვეღარ, — აღარ კითხულობს მშობელ ერის გულში: — საქართველოს სარკეში ის დღეს მხოლოდ თავის გაორებულ სახეს ჰხედავს. — (აქედან განსაკუთრებული ნერვიულობა თანამედროვე ქართულ მწერლობისა).

ქართულ მხატვრულ მწერლობის ადდგენისათვის, მისი ხერხემალის გამართვისათვის, ტრადიციის გაცოცხლებისათვის, — თავისუფალ საქართველოს ხელოვნებისათვის! ვიძახით ჩვენ ამ სტრიქონებით.

ქართული მწერლობა ქართველ ერთან უნდა იქოს! — ის კვლავ უნდა ვახდეს მშობელ ხალხის სულის მესაიდუმლელ! ის ვერ გადგება განზე!

ჩვენ არ ვითხოვთ, რომ ქართველმა მწერლებმა ქართველ ერს ლიუტერობა, ჯორდანო ბრუნობა, გალილეობა, — ბაირონობა გაუწიონ!

ჩვენ არც იმას ვითხოვთ, რომ ეს მწერლები ჩვენი ლიტერატურის კორიფეებს გაუთანასწორდენ; — ამისათვის მათ აღბად არ შესწევთ არც მხატვრული და არც მორალური ძალა.

ამისათვის ეტყობა ჯერ კიდევ არ არის მზად ნიდავა: — აკაკის გმირს ჯერ კიდევ დიდხანს უნდა უცადოს ჩვენმა მწერლობამ...

ჩვენ ვითხოვთ, რომ ქართველი მწერალი ერის შვილი იყოს, მისი გრძობების გამომხატველი, რომ მან კვლავ ააფრიალოს თავისუფალ ხელოვნების დროშა. ჩვენ გვინდა, რომ ქართველი ხელოვანი მთლიანი პიროვნება იყოს მხატვრულ შემოქმედებაში, ესთეტიკისა და ეთიკის თანაბრად მათაყვანებელი...

«ადვილი სათქმელია», — იტყვის ბევრი. «ჩაიყენეთ თავი ისეთ პირობებში, როგორშიდაც ჩვენ ვართ და მეტე ილაპარაკეთ!»

ჩუმი! საქართველოს სამსხვერპლოზე ასულ გმირთა სახეები ჩნდებიან, ერთ აჩრდილათ რომ გადასწოლიან სამშობლოს მთაველ-მინდვრებს!..

გვინდა გავიგონოთ კვლავ მედგარი ხმა: «არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს» ერთხელ მაინც მედგარი გადაძახილი ვისმინოთ: «მაინც ბრუნავს მაინც ბრუნავს!» და როდესაც საქართველოს პანთეონში ვეშაპელებს ასაფლავებენ გავიგონოთ უშიშარი თქმა-ყვირილი: «ნუ რყვნი, წმინდა ადვილს — აქ საქართველო თავის საუკეთესო შვილებს ასაფლავებს!»...

გ.—ძე.

უცხოეთის მიმოხილვა.

კელოგის პაქტი და მოსკოვი.

27 აგვისტოს პარიზში 15 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დიდის ზემოთ მოაწერეს ხელი კელოგის პაქტს. პარიზი მორთული იყო სადღესასწაულოთ, საგარეო სამინისტროს სასახლეზედ ფრიალებდა ყველა ქვეყნის დროშები, ქუჩებში არ იყო ხალხის ტევა. ლონდონშიც, მთლათ ინგლისის ეკლესიებში პარაკლისი იხდიდენ. პენლევე, საფრანგეთის სამხედრო მინისტრი, პროექტს ადგენს, რომ მის სამინისტროს «ომის» (დე ლა გერ) ნაცვლათ «თავდაცვის» დაერქვას...

რა მოხდა ისეთი? ნუ თუ ამ აქტიით ომი გაჰქრება სამუდამოთ? ბრიანმა, რომელიც თავმჯდომარეობდა ზეიმს, სთქვა თავის სიტყვაში: ნურავის ჰგონია, რომ მორალს, პატიოსან სიტყვას მნიშვნელობა არა აქვს საერთაშორისო განწყობილებაში, პაქტის დარღვევა ისეთ აღშფოთებას გამოიწვევს ყველგან, რომ მას სათანადო შედეგიც მოჰყვებაო. ის გულისხმობდა ეგრეოდ. სანქციას, რომელსაც, თუმცა არ არის ჩაწერილი პაქტში, მაგრამ მაინც ერთგვარ დამოკლეს ხმალის როლი შეუძლია ითამაშოს მილიტარისტების შესაშინებლათ. კელოგის ფორმულა: «ვსდებთ აღთ-

ქმას ხელი ავიდოთ ომზე, როგორც ნაციონალური პოლიტიკის საშუალებათზე» და ბრიანის აფორიზმი: «ომი კანონ გარეშე» — უნდა გავიგოთ, მანასადამე, როგორც მორალური ვალდებულება. კაცობრიობა უარყოფს ომს, როგორც კანონიერ, სამართლიან მოვლენას, ის ეწინააღმდეგება მის უფლებრივ შეგნებას.

პაქტს თან ახლდა საფრანგეთისა და ინგლისის რეზერვები, რომელიც განმარტავდა, რომ ომი თავდამსხმელის წინააღმდეგ ანუ თავდაცვა ამით არ უნდა აღიკრძალოს, ერთა ლიგის და ლოკარნოს პაქტებით შეუბღალველი რჩებაო. ამერიკა უფურთდა ამ განმარტებას და, რაც უფრო საყურადღებოა, გერმანიამ კიდევ მასზე ადრე განაცხადა თავისი სოლიდარობა. ამიტომ შტრენემანის პარიზში ჩამოსვლა დიდ ამბად იქნა ჩათვლილი, ხალხი და მთავრობა მხურვალე სიმპატიით შეხვდენ მას. 60 წელზე მეტია — ამბობდა ბრიანი თავის მისალმებაში — რაც გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი არ სტუმრებია ჩვენს დედა-ქალაქს, მე ბედნიერი ვარ, რომ ეს პირი შტრენემანია, რომელმაც არაჩვეულებრივი გამბედაობა გამოიჩინა ჩვენთან ერთათ მშვიდობიანობის გან-



მტკიცებაში და აქაც ჩამოვიდა ხელმოსაწერათ, მიუხედავად ფიზ. სისუსტისაო.

რას შერებოდენ ამ დროს კომუნისტები? დემონსტრაციებს აწყობდენ, პროკლამაციებს კედლებზედ აკრავდენ, სადაც დიდი ასობით წარწერილი იყო: «ძირს ომის პაქტი!» ეს ლოზუნგი გამოდიოდა მოსკოვიდან და, რასაკვირველია, მას იმეორებდენ არა მარტო პარიზში, არამედ ბერლინშიც და ლონდონშიაც. არ გასულა ერთი კვირაც და ლიტვინოვმა გამოაქვეყნა თავისი ნოტა—ჩვენც ვუერთდებით კელოვის პაქტსო! უკეთესი დემონსტრაცია შეუძლებელი იყო მოსკოვის ორპირობის, სიფლიდის, თალლითობის. მაგრამ გულისწყრომის მაგიერ მთელმა ქვეყნიერებამ ხარხარი დააყარა ლიტვინოვის «შემოერთებას», კარიკატურისტებმა იზოვეს დაუშრეტელი თემა, იუმორისტები ერთმანეთს ეჯიბრებინან და ცინიკაში, ეკრანებიც აფირფიტდენ... ხმელეთის მეექვსედი არ მოიწვიეს დიდ სახელმწიფოთა რიგში, არც ჩიხერინის ბრძნული შესწორებანი მოისმინეს, არც ლიტვინოვის რეზერვები მიიღეს ცნობად, და მაინც წაიჩოქეს «ომის პაქტის» წინაშე!

ლიტვინოვი ცდილობდა სამაგიეროთ სხვების გაბათილებას, საფრანგეთისა და ინგლისის. იქ ლაპარაკია, როგორც ვთქვით, თხვადაცვაზე—აი რას ვერ უმაგრებს მოსკოვი თვალს, როგორც მეფისტოფელი ჯვარს! მან შემოუსია თავისი ურდოები საქართველოს, სხვა არარუს ერებს. მოსკო მათი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და რაღა გასაკვირია, რომ სიტყვა «თავდაცვა» ყალბზე აყენებს. ამით მას ეუბნებიან: შენ მხოლოდ სიტყვით იღებ ომზე ხელს, საქმით კი აწარმოებ მას მრავალ ერთა მიმართ და ამიტომ ამათაც უფლება აქვთ თავი დაიკვიანო.

ამრიგათ, მოსკოვის ხელის მოწერა კელოვის პაქტზედ გაძლიერების ნაცვლათ ასუსტებს უკანასკნელს. პაქტი მორალური დოკუმენტია უადრესათ, ხოლო მოსკოვი იზარებს პოტენტოტურ მორალს. ეს იციან და მაინც იწვევენ...

ერთა ლიგის წლიურ ყრილობაზედ.

ერთა ლიგის წრევანდელი ყრილობის უადრეს მომენტს წარმოადგენდა გერმანიის კანცლერ მიულერის და ბრიანის დუელი. არავინ ელოდა ამას და იქნება არც მომხდარიყო, შტრეზემანს რომ შესძლებოდა ყენევაში ჩასვლა. ჩემბერლენიც ვერ ჩავიდა და ბრიანიც ხომ ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ისე მძიმეთ იყო ავათ. ყველა ორატორები თავიანთ მოვალეობათ სთვლიდენ მისალმებოდენ კელოვის პაქტს და ხაზგასმით აღნიშნათ მისი და ერთა ლიგის მიზნების ერთიგეობა და სოლიდარობა.

კანცლერ მიულერმაც ისარგებლა ამ მოდენილი სთვლისკვეთებით და თავის სიტყვის ცენტრალურ მუხლად განიარაღება გახადა. ჩვენ მოვაწერეთ ხელი კელოვის პაქტს, ლოკარნოს გარანტიებს, დოუსის გეგმას, ხოლო განიარაღების საქმე გაყინულ წერტილიდან არ იძვრისო—ამბობდა მიულერი. დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ—განაგრძობდა ის—თორემ კაცობრიობას გაუტრუფდება იმედები და ერთა ლიგაც დაჰკარავს პრესტიჟისო. მთა-

ვარი საბუთი, რომელიც მას მოჰყვიდა, იყო გერმანიის განიარაღება, რომელიც, თანახმათ ვერსალის ზავისა, საყველთაო განიარაღების დასაწყისად უნდა გამხდარიყო.

ძლიერ ფიციბი პასუხი ვასცა ბრიანმა გერმანიის კანცლერს, ეტყობოდა ნაწყენი იყო. მე მისაყენდურებენ—დაიწყე მან—ვითომ სიტყვის და არა საქმის კაცი ვიყო. მაშ რაა ლოკარნოს და პარიზის პაქტები, თუ არა საქმეო. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ერების და არა პარტიების სახელით, განიარაღება ან უფრო სწორათ—შეიარაღების შემცირება, უშიშროების მიხედვით, ყველას გვინდა, მაგრამ ეს არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთს ჰგონიაო—განაგრძობს ბრიანი და მიუბრუნდება კანცლერს: თქვენ ბრძანებთ გერმანია განიარაღებულიაო, ფორმალურათ ვერსალის პირობები მართლა შესრულებულია, მაგრამ რამდენი დრო და ჯახი დაგვჭირდა ამისათვის? გერმანიას ჰყავს ასი ათასი კაცისაგან შემდგარი კადრის ჯარი, რამდენჯერ გამრავლდება ის, როცა მას შეუერთდებიან დიდი ომში მონაწილე მამაცი მხედრები? მევე გერმანიის პოტენციალური ძალა, მისი განმაცვიფრებელი ტენხიკა, მრეწველობა, სავაჭრო ფლოტი, ავიაცია?—კითხულობს ბრიანი. არის ერთი დიდი სახელმწიფოც—განაგრძობს მძიმეთ ბრიანი—რომელიც ომზე თითქოს ხელს იღებს, მოითხოვს სრულს განიარაღებას, კელოვის პაქტსაც უერთდება, მაგრამ იმავე დროს განუწყარებელი იარაღდება და ქადაგებს «მეორე სახის ომს, საღვთო ომს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მისი აზრის არ არის,—რითაა უკეთესი ეს ომი ჩვეულებრივ ომზე? ვფიქრობ, სიფრთხილეს თავი ას სტკიცა—ათავებს ბრიანი მქუხარა ტაშის ქვეშ.

ბრიანის ეს გამოსვლა ისტორიული იყო, არავინ ელოდა მისგან. გერმანიის პრესა პირიდან ცეცხლს აფრქვევდა: ისევ პუნკარეს ენით გველაპარაკებინან. ისევ უნდობლობა! მემარჯვენეი მოითხოვდენ. კანცლერმა უნდა დასტოვოს ესლავე ყენევაო. საგულისხმიეროა, ისინი არაფერს ამბობდენ ბრიანის სიტყვის იმ ადგილზე, რომელიც მოსკოვს ეხებოდა. ამით თითქოს ადასტურებდენ თავიანთ საიდუმლო კავშირს წითელ იმპერიალისტებთან! იქვი არავის ეპარება, რა უნდოდა ეთქვა ბრიანს გერმანიისათვის: თქვენ უნდა დატოვოთ ბოლშევიკურ რუსეთთან დაახლოების ფიქრი ჩვენ წინააღმდეგ, მაშინ ადვილია ჩვენთან შეთანხმებაო. თითქოს განგებაც კვერს უკრავსო, როცა ბრიანი თავის სიტყვას ამბობდა ყენევაში, ბერლინში უეცრათ გარდაიცვალა გერმანიის ელჩი მოსკოვში გრაფი ბროკდორფ რანცაუ. «პირველი მუჟიკის» კალინინის დეპეშამ მარშალ პინდენბურგის სახელზე უკვე ამცნო ქვეყნიერებას, თუ რა დიდი მეგობარი დაჰკარგა მოსკოვმა, სწორეთ ბროკდორფ რანცაუ იყო გერმანია-რუსეთის კავშირის დედა-ბოძი.

ყველაზე საინტერესო იყო პირადათ ბრიანის გამოსვლა, იმ ბრიანის, რომელმაც შესთავაზა მოსკოვს კელოვის პაქტი! უფრო ცხადი საბუთი იმისა, რომ მოსკოვის ხელის მოწერა არავის მიაჩნია გულწრფელათ, შეუძლებელია.

მიულორისა და ბრიანის კამათში ჩაერთა კაშენდენი, ინგლისის დელეგატი და ჩემბერლენის მოადგილე, მაგრამ კიდევ უკეთესი, მან თავისას მიიწვია ორივე, აგრეთვე იტალიის, ბელგიის და იაპონიის დელეგატები. გაიმართა თათბირი, რომელმაც სამი სხდომა მოინდომა და მოხდა წინასწარი შეთანხმება არა განიარაღებაზე, არამედ რენანიის ევაკუაციაზე და დოუსის გეგმის გადასინჯვაზე! დანიშნება კომისიები, რომელნიც შეისწავლიან ამ კითხვებს და პროექტებს წარმოადგენენ. ერთი სიტყვით, იწყება ნამდვილი ოფიციალური მოლაპარაკება ამ თავსამტვრევ კითხვებზე და თუ გადაიჭრა, როგორც იმედოვნებ, გერმანია-საფრანგეთის შეთანხმება და დაახლოება ფაქტად იქცევა, რომლის განუზომელ შედეგებზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.

ტრედ-უნიონების ყრილობა.

კომუნისტები დემონსტრაციებს აკეთებენ არა მარტო იმპერიალისტების, არამედ ტრედ-უნიონების წინააღმდეგაც! სვანზიის ყრილობა არც კი დაწყებულყოფილა, ისინი დიდ სამხადისში იყვნენ უკვე. განზრახული იყო «გრანდიოზული» პროცესიის მოწყობა და ყრილობის იერიშით აღება. ჩაფლავდნენ, რა თქმა უნდა, გამოცხადდა სულ რაღაც 300 მუშა, ყრილობამ არც კი მოისურვა მათი დეპუტაციის მიღება, ეგ ხომ «მოსკოვიდან» არისო—განმარტა თავმჯდომარემ.

ეს ეპიზოდი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ტრედ-უნიონების ყრილობა უმთავრესათ მოსკოვის აგენტებთან კამათს მოუწოდებოდა. უნდა ითქვას, ინგლისის ყრილობები უფრო ფართე ასპარეზს უშლის ამ აგენტებს, ვინემ საბჭოთა ყრილობები ოპოზიციას, თან არ ასახლებენ მათ, არც გეპუეში ამწყვედვენ.

მთავარი საკითხი, რომელიც ყრილობის წინაშე იდგა, მდგომარეობდა იმაში, განეგრძო თუ არა ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს მოლაპარაკება მრეწველებთან შრომისა და კაპიტალის საერთო თანხმების შესახებ. ერთი წელი იქნება, რაც მრეწველთა გაერთიანებულმა საბჭომ, ალფერდ მონდის მეტაურებით, მიმართა ტრედ-უნიონებს წინადადებით გამართათ მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა სოციალური კონფლიქტების თავიდან აცდენა და ორივე მხარის დამოკიდებულებათა ერთგვარი რეგლამენტაცია. ტრედ-უნიონების საბჭომ დადებითათ უპასუხა და გაიმართა თათბირები მათ

რას ხეგრენ ბოლშევიკებმა.

საფრანგეთის სოციალისტების მთავარ ორგანოში «პოპიულერ»-ში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა იმ რეპრესიების შესახებ, რომელსაც განიცდის დღესაც საქართველო ბოლშევიკებისაგან; განსაკუთრებით ვრცლათ იყო აწერილი პოლიტიკური ტუსალების მდგომარეობა—მათი გაჭირვება, წამება, რუსეთში გადასახლება. წერილების ავტორი Em. Kahn ერთხელ კიდევ მიაქცევს მოწინავე კაცობრიობის ყურადღებას საქართველის ბედზე და აღნიშნავს, რომ ქართველმა ეთმა 1918 წ. თავისუფალი ჩებისყო-

შორის. ყრილობაზედ სწორეთ ამ მუშაობის შესახებ იყო მოხსენება წარდგენილი და კამათიც მას ენებოდა.

კომინტერნის ახალი პროგრამა და მანიფესტი, როგორც ვიცით, წრეგადასული სისასტიკით ილაშქრებს «სამრეწველო მშვიდობიანობის» წინააღმდეგ და ტრედ-უნიონების ბელადებს დამნაშავეს სკამზედ სვამს «დალატისთვის». ამის და მიხედვით, ინგლისის კომუნისტები და ბოლშევიზანები, მოსკოვის ინსტრუქციას ასრულებენ და თავს ესხმიან საბჭოს; მათ შორის, ცნობილი კუკი მეტის ერთგულობით გაიშხლართა გულწასული. ისინი მოითხოვდნენ მოხსენების უკუგდებას და მოლაპარაკების შეწყვეტას მრეწველებთან, თან საყვედურის გამოცხადებას საბჭოსთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმისთვის.

ჩვენ ვერ შევჩერდებით, რა უპასუხეს მათ საბჭოს წევრებმა, საინტერესოა მხოლოდ, რომ შემალაროთა თავმჯდომარე, სადაც კუკი მდივანია, უკანასკნელის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. დიდი უმრავლესობით უარყოფილ იქნა კომუნისტების წინადადება და მიენიდა საბჭოს განაგრძოს დაწყებული მოლაპარაკება მრეწველებთან. ფრიად საყურადღებოა თავისთავათ ეს საქმე. ერთგვარი ცდაა უერთდესი სოციალური საკითხის გადაჭრისა, ამიტომ ასეთის ინტერესით ეკიდებიან მას ყველა ქვეყნის მუშები და მათი ორგანიზაციები.

ყრილობას დაუყენეს იმავე პირებმა ორი სხვა საკითხიც: მათგლიოს ყველა სინდიკატების მოწვევა ერთ კონფერენციასზედ, მანასადამე, რუსეთის პროფკავშირებისაც; განახლება რუსეთ-ინგლისის სინდიკატების კომიტეტის მუშაობისა. ყრილობამ, როგორც ერთი, ისე მეორე კითხვა დიდის უმრავლესობით უარყოფითათ გადაჭრა. რკინის-გზელთა ბელადმა თომასმა სთქვა, სხ. შორ.; ინგლისის პროლეტარიატის ინტერესები არ მოითხოვს გადაგვივით რუსების რეგულიუციონერებს; ჩვენ ჩვენთვის, ისინი თავისთვის, მათ ანგრიონ თავიანთი ქვეყანა, ჩვენ ამის ნებას არავის მივცემთ ინგლისში.

თუ თქმულს დაუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ გერმანიის სინდიკატების ყრილობამ სასტიკათ დაკგმო ჰამბურგში მოსკოვის დამბრლევი პოლიტიკა, ცხადია, ევროპის ორი უძლიერესი ორგანიზაცია იღებს გარკვეულ ხაზს. კიდევ უფრო გარკვეულია ამერიკის მუშათა ფედერაციის ხაზი, რომელიც მოსკოვის იურიდიულ ცნობასაც კი ებრძვის ვაშინგტონის მიერ.

ფთ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა და იგი დღესაც გადაჭრით აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია რუსეთის ბატონობა და მოითხოვს თავის სუვერენობის აღდგენას.

ევროპაში დღესაც ბევრია, რომელიც ფიქრობს ბოლშევიკებთან მორიგებას, მათ «მორჯულებას», მათ გარდაქმნას. მაგრამ თანდათან მრავლდება მათი რიცხვი, რომელნიც იწყებენ სინამდვილის გაგებას, მეტად სერიოზულად ეპყრობიან სავანს და ეძებენ



რეალურ საშუალებას ბოლშევიზმის, დღევანდელი რუსეთის საკითხის გადასაჭრელათ, რადგან ნათლათ ხედავენ, რომ მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური კრიზისების დაძლევა შეუძლებელია, ვიდრე არსებობს აწინდელი ვითარება აღმოსავლეთ ევროპაში. მეტად საგულისხმიერა ამ მხრივ ლაბონის წერილი ყურნალ «ლე კორესპონდან»-ში. ავტორის აზრით, ჩვენი დრო არის ნაციონალური იდეის განვითარების ხანა: «ატლანტიკის ოკეანედან პეჩილის ყურემდე, კატალონიიდან სიამამდე, კორეიდან ფილიპინამდე—ველეგან იგივე აღტყინება, რომლითაც გამსჭვალული იყო მღელვარე ეპოქა 1789 და 1848 წლების. გაჩნდენ ლეგიონები ავტორიტეტისა, რომელთაც სურთ ბოლივარის როლი ითამაშონ: სუნიატსენი, მაპატმა ვანდი, ზაგლულ. მუსტაფა ქემალ, სულთანი ატრაში, აბდელ ქიარიმ, დევალერა და სხვები. სულ პატარა ერები ცთილობენ თავის ენის აღდგენას, ეძებენ ისტორიაში თუ ლეგენდებში თავის წარმოშობის ჩანასახს და საფუძვლებს თავის სამშობლოსათვის». ნაპოლეონის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ვერ გამოიყენა ის ფარული ენერგია, რომელსაც შეიცავს ცალკე ერების ნაციონალური მოსწრაფება. ასეთივე შეცდომა მოუვიდა ნაპლეონს მესამესაც. «დღევანდელი ევროპაც იჩენს იმავე გაუბედაობას სერიოზული საფრთხის წინაშე, როცა უყურადღებოთ სტრუქტურებს ეროვნულ დანაწილების რუკას».

შემდეგ ლაბონი გადადის რუსეთზე და ამბობს, რომ ბოლშევიკების გამარჯვებაში დენიკინ-კოლჩაკის წინააღმდეგ დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ბოლშევიკები თავისუფლებას დაპირდენ დამონებული ერებს. ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ბოლშევიკები თვითონ სდევნიან ერებს. ერები ირახმებიან და იწყებენ ბრძოლას. ავტორი აღნიშნავს უკრაინელების, ქართველების, ტურქესტანელების და სხ. მუშაობას და ხაზს უსვამს, რომ ეროვნულ ანტიბოლშევიკურ—ანტირუსულ მოძრაობას სათავეში უდგია უკრაინა. ეროვნულ განმათავისუფლებელ მისწრაფებას ებრძვიან არა მარტო ბოლშევიკები. ლაბონის დაკ-

ვირვებით, რუსის პოლიტიკური ემიგრაცია დენიკინიდან დაწყებული კერენსკამდე ერთსულოვნად წინააღმდეგია რუსეთის ახალი დანაწილების და ამბობს: ისევ ბოლშევიზმი ვიდრე ეს დანაწილებია!

ლაბონს უსაფუძვლოთ და უნაყოფოთ მიაჩნია წინააღმდეგობის გაწევა იმ ეროვნული დამოუკიდებლობის მისწრაფებისთვის, რომლითაც გამსჭვალული არიან დღეს რუსეთის ფარგლებში მომწყვდეული ერები და იმით ათავებს თავის წერილს, რომ ერთის მხრით ურჩევს რუსის პოლიტიკურ მოღვაწეებს, შეუდრიდენ აწინდელი რუსეთის გარდაუვალ დანაწილებას და იმას, რომ მომავალი რუსეთი უნდა შეიცავდეს მხოლოდ რუსების მიერ დასახლებულ ტერიტორიას, და მეორეს მხრით საჭიროთ მიაჩნია, რომ ევროპის სახელმწიფოების მართველებმა დახმარება აღმოუჩინონ რუსეთის არა რუს-ერების განმათავისუფლებელ ბრძოლას: ამ შემთხვევაში მათ უნდა მიბაძონ საბჭოთა მთავრობასო, რომელიც მხარს უჭერს ინდოეთის, ალჟირის და სხ. ნაციონალისტებს—განა ახალგაზდა უკრაინელები და ახალგაზდა კავკასიელები თავის რიცხვით, თავის სულიერი და ადმინისტრატიული ღირსებებით ახალგაზდა ინდუსებზე თუ ახალგაზდა ალჟირელებზე დაბლა დგანან?» დაასკვნის ლაბონი.

ლონდონში დაბრუნდა ამას წინად მოსკოვიდან ამერიკელი ყურნალისტი კრეინი, რომელმაც მოიარა ციმბირი და ევროპის რუსეთი, და თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა ინგლისურ გაზეთებს. კრეინის სიტყვით, რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა; მთავრობის განზრახული ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს დიდძალ თანხებს, ფული კი არსადაა და არც იმედია სესხის მიღებისა უცხოეთში. თუ მოუსაველობა იქნა, მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქნება. პოლიტიკურად საბჭოთა მთავრობა მტკიცეა, მაგრამ შესაძლებელია ეკონომიურმა გაჭირვებამ აიძულოს ბოლშევიკები სერიოზულ დათმობებზე წავიდნენ.

ს ს ო ვ ნ ი ს დ ე ე .

2 სექტემბერს საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგებამ მოაწყო აგვისტო-სექტემბრის დახრილთა სსოვნის დღე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ვ. ლამბაშიძემ, რომელმაც თავისი მოკლე სიტყვა იმით დაიწყო, რომ სთხოვა დამსწრეთ ფეხზე აღდგომით პატივი ეცათ სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნისათვის. უმუნვით მოკუთლი და სულგანაბული ხალხი დიდხანს იდგა ფეხზე. სიტყვებით მიმართეს კრებას ბ. ბ. ნუცუბიძემ, დ. ვაჩნაძემ, სტუდენტმა რ. თალაკვაძემ, შეფიცულმა ი. ჩიქოვანმა და ვლასა მეგლაძემ. ბ. ნუცუბიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მისწრაფება თავისუფლებისადმი გამართლებულია იურიდიულათ და მორალურათ მთელი კაცობრიო-

ბის თვალში, და გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ ეს მისწრაფება ფაქტიურათაც გამართლდება. ბ. ვაჩნაძე შეჩერდა კავკასიის ერთა ბრძოლაზედ თავისუფლებისათვის და აღნიშნა ის საპასუხიმიგებლო როლი, რომელიც საქართველოს მოუწევს ამ ბრძოლაში. სტუდენტმა თალაკვაძემ მიუთითა საქართველოს ახალგაზდობის პატრიოტულ სულიერ განწყობილებაზე და ფიცი დასდო, მათი სახელით, რომ ახალგაზდობა გაყვება უფროს ძმების მიერ გაკვალულ გზას სამშობლოსათვის თავდასადებათ. ბ. ჩიქოვანმა გაიხსენა შეფიცულების ბრძოლა თავისუფლებისათვის და განაცხადა, რომ ისინი მომავალშიც მზათ არიან თავი შესწირონ საერთო საქმეს.

კრება დამთავრდა ვლასა მეგლაძის ვრცელი სიტყვით, რომელიც აქვე მოგვყავს შემოკლებით.



მამულიშვილო!

რისთვის შეგვრებილვართ ჩვენ დღეს და რას გლოვობს ქართველი ერი? რა ძალა იწიდავს ქართველ ერს საბრძოლველად მთელი საუკუნეების განმავლობაში და საუკეთესო შვილებს თავი ზეარაკათ მიაქვთ ერთი საკუთრთხვევლზე? ჩვენი საყვერელი დედები ერთი სასოება შვილებს ვისთვის იმეტებენ სასიკვდილოთ და ცოცხლების სამაგალითოთ?

სწორეთ ას ოცდა სამეტი წლის წინათ ქართველ ერს ერეკლე მეფის მეთაურობით ხელიდან გავარდა ეროვნული დროშა მტერთან ბრძოლაში კრწანის ველზე და თავისი სისხლით შეღებალი თან ჩაიტანეს საფლავში! მრავალრიცხოვანმა მტერმა საქართველო მოსრა, მისი გული ტფილისი მოაოხრა, მარა ვერ მოსპო მისწრაფება და სიყვარული სამშობლოს აღდგენისათვის, ბრძოლა დიადი დროშის ხილვი-სათვის!

მართალია მზე ჩაესვენა წყვილიდში, მარა ქართველებმა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იცოდნენ, დრო გაივლიდა, ბნელი გაიფანტებოდა, მზე დიდებით აღმობრწყინდებოდა და ღირსეულმა მამებმა შვილებს იმედი გაუოკრეს, რწმენა და იმედი გულში ჩაუნერგეს, საბრძოლველად ამზადეს... რჩეული შვილები აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ და მათში სახელოვან დიმიტრი ყიფიანს, რომელიც 1814 წელს დაიბადა და სულ ახალგაზრდამ 19 წლისამ უკვე მიიღო მონაწილეობა საქართველოს აჯანყებაში, მთელ საუკუნის განმავლობაში თან მოქონდა დიადი ხსოვნა თავისუფალ ღირსეულ მამულიშვილებისა და მათ სიყვარულს მომავალ თაობას გულში უნერგავდა საშვილიშვილოთ გადმოსაცემათ, საქართველოსთვის მუშაობდა, სანამ რუსეთის მიერ მოკიდულმა პირებმა მხაკვრულათ მიჩინერეს თავი არ გაუტეხეს, ერის კერაზე ცეცხლის გამღვივებელი სული უღვთოთ არ ამოცალეს!.. ეს იყო 1887 წ. 27 ოქტომბერს და ამ ხნის განმავლობაში ის ცოცხალი მაგალითით მთელ თაობას ზრდდა...

ჩვენი სახელოვანი მწერლობა, ეს სარკე ქართველი ერის ცხოვრებისა, სასტიკი ცენზორების ქვეშ ახერხებს სამშობლოს სიყვარულის ხალხში შენახვას და თავიანთ განცდის გადმოცემას... ვახტანგ ორბელიანი თავის შესანიშნავ პოემაში ამბობს: გონება ხელობს, გაუმაგებულს აზრი მერევა, სარწმუნოებას უმუნვის ძალა ერევა! მაშინ მზათა ვარ, რომ მკითხვით ერთი: ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებობს ღმერთი?! და თუ მართლა არსებობს, ეს მშვენიერი ქვეყანა მან გააჩინა, ყოველივე აღმოაცენა, მაშ საქართველო ასე მწარეთ რისთვის დაემხო? არ მოგვსლია შენ გონს, პატარა კახო, როს გადაავლე ავლაბრით თვალი და თფილისს ოთკუთხივ ავარდა ალი?!

აი სანამდის მიდის სამშობლოსათვის გულდამწვარი პოეტი, ის უმაღლეს განგებასაც კი ედავება სამართლიანობას და მის არსებობასაც კი ეჭვის ქვეშ აყენებს.

სამშობლოს დაკარგვით დასევდიანებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიუხედავად თავის უზომო მწუხარებისა, ამბობს: რაც ერთხელ ცნოვლათ სულს

დაჩნდების, საშვილიშვილოთ გადაცემისო და ეს სული ჩვენ დიად წარსულს გვაგონებს—მის საპოვნელად გვამოქმედებს... მტრები საქართველოს სულთათანას უგალობენ, მარა მყინვარსავით შვენიერი აკაკი წერეთელი ამბობს: არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავს და ისევე გაიღვიძებს, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ იმას დაამწყებს—და ახალ თაობას ამხნევეს, გმირებს უყვის, უძახის ჩემი დაფი და ნაღარაო—თავის მაღლიან ჩონგურზე ამღერებს!

იალბუზივით დიადი ილია ჭავჭავაძე ერს ბაზალეთის ტბიდან ოქროს აკვანის ამოსაღებათ ამზადებს, ღირსეულ მზე-საბუქს დაიქვებს, რომელმაც ეს აკვანი უნდა ამოიღოს. მთელ თაობას ამ დიად წამისათვის ამზადებს, ვითარცა წუმბელი მამა, მთელ ერს სავალ გზას უნათებს!

აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები, მამულლო საყვარელო შენ როდის აყვავდებიო—სამყაროს აყურადებს!

ჩვენ ვათვალიერებდით დიდ ტაძრებს, ქართველი ერის ხელ-ქმნილ სამაყო ძეგლებს და ვამბობდით: ერმა, რომელმაც ასე გამოაქანდაკა მისი სულის შვენიერება, ჯოჯოხეთურ პირობებში, მთელი აზიის მოზღვავებულ მტერს გაუძლო და აქამდე მოაღწია, ესლა ვერ მოკვდება!

აჰა საკვირველება, მზე ვიხილეთ, მოულოდნელათ ცამ პირი გააღო, კრწანისის ველზე ბრძოლაში ხელიდან გავარდნილი დროშა დიდებით გამოგვიბრწყინდა, მისმა შვენებამ მოგვცინოლა, მაღლმან საქართველოდისამ შეგვგოსა ჩვენ!!

აჲ იყო ძველათაც ქართველი ერის აღდგომა, ასე მოთმინებით და ტანჯვით ელოდენ დიად თავისუფლების მოვლინებას, ჩვენ ბედნიერები ვიყავით მით, რომ ჩვენი თაობა შეესწრო ამ გამოჩინებას, ამ სასწაულს!

მე ბედნიერება მქონდა ჩვენი წარსული აჯანყებების მონაწილენი მენახა, მათი ამბები მომესმინა; კრწანისის ველზე ასი წლის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრებოდი, სადაც ყავარჯენზე დაბჯინილი ღრმა მოხუცი მენახა, რომელმაც ერეკლე მეფე, თფილისის კარი-ბუქსთან მოზღვავებულ მტერთან ქართველური, მამა-პაპური ბრძოლა ესილათ!

ასეთი განცდის თაობა საქართველოს თავისუფლების ხილვით, ვითარცა ზამთარში თბილ შხის სხივებზე კუტი და საპყარი, სიხარულით გამოფეფინეთ და როდესაც ერის ბელადი, ჭადარა ნოე ქორდანია ჩვენ სასოება იმედს—დამოუკიდებლობის აქტს კითხულობდა, მის გაბრწყინებულ თვალებში ეროვნული სული ვიხილე!

ამ სასწაულის შემსწრე დამფუძნებელი კრების სავარძლიდან ანახდეულათ წამოგდექი, მამა დავითის ტაძრის გალავანში ავიჭერი, სამრეკლოზე გულის ფანცქალით ავედი, აქანკალებული თითებით დიდების ზარი დავრეკე, საქართველოს მკვდრეთით აღდგომა მოაწმინდის მამებს ვახარე!

შეშინებული მოძღვარი და მონაზონები თავშიშვლები გამორბოდნენ, საქართველოს თავისუფლების სასწაულათ მოვლინების საგალობლათ ემზადებოდნენ!



მე კი მუხლ-მოყრილი ვიდეკი დიმიტრი ყიფია-
ნის საფლავეზე და პირველ აჯანყების მონაწილეს და
მისთვის მოწამებრივ თავდადებულს საქართველოს
მკვდრეთით აღდგენას უმანაზრობლებდი, მის უღვ-
თოთ გატეხილ თავის გამთელებას ვამცნობდი!

დიმიტრის მშვენიერი ქანდაკება გაოცებული მო-
მჩერებოდა, მთავარ-დიაცონის მიერ ზარების რეკას
აყურადებდა, გაშლილი სახით დედა თფილისს ვადა-
ცქეროდა!

აკაკის «მისი მზე და მისი მთვარის» აღმობრწყი-
ნება ვახარე, მისი დაფის და ნალარის ხმაზე შეკრე-
ბილი გმირების ამბავი მიუტანე, მუხლ-მოყრილი
მის მადლიან გულ-მკერდს ვეამბორე. მის თავთან
თეთრი ზამთრის ყვავილი ძირიანა ამოვიღე, ილიას
მიუტანე, აკაკიმ გაახლათ, სამშობლოს აყვავილება
—ყვავილით უმანაზრობლე, ილიას საფლავეზე მწუხარ-
ებობი მდგომ ქართველ დედას, მოწიწებით, მუხლ-
მოყრილი ვეძუდარებოდი, მწუხარება და გოდება ვა-
ეთვებია...

სამთავე მამების საფლავეზე ანთებული სანთლები
ციმციმებდნენ—ქართველი ერის სული ბრწყინავდა!

შემოსილი მოძღვარი საქართველოს განთავისუ-
ფლების უდიდეს პარაკლისს იხდიდა, ცისა და ქვეყ-
ნის შემომქმედს უვალობდა, სამთავე მამებს გუნდ-
რუკს უკმევდა, ქუდ-მოხდილ, მუხლ-მოყრილ ხალხის
წინაშე საქართველოს მკვდრეთით აღდგენას ღირსე-
ულ მამებს უმანაზრობლებდა...

მამულიშვილნო! აპა განცდა იმ დიდებულ წამის,
რომლის ღირსიც მთელი თაობა შეიქმნა!

და როდესაც ჩვენს ეროვნულ ტაძარში ხელის
მოსაწერათ ჩემ წინ ეროვნული ღერბი და სახელმწი-
ფო ბეჭედი მომაწოდეს, მე მუხლ-მოყრილ ვეამბორე,
მოწიწებით ხელი მოვაწერე, უდიდესი ადამიანი და
ზეკაცი ვავხნდი!

სიბნელე გაქრა, შვენიერება დიდებით შეიმოსა!
საქართველოს მადლმა მისი უკვდავი სხივებით
შეგვემოსა!..

ჩვენ გაბრწყინებულ დღეში სიცოცხლეს განვა-
გრძობდით. შემომქმედის სადიდებლათ, ჩვენი თაო-
ბის შესაფერ ეროვნულ ძეგლის აგებას ვიწყებდით,
რომ მოულოდნელათ შუადღეზე მზე დაგვიბნელდა,
დიდებული სანახაობა თვალთავან მიგვეფარა!..

მტერი მზაკვრულათ, ქურდულულათ თავს დაგვესხა,
დაგვეკრა, მარა ვერ მოგვეკლა და როგორც ძველათ
ქართველობა მტერს ეკეთა, სამშობლო-დედის და-
ცვაში უმშვენიერესი შვილები ზვარაკათ შეიწირენ!

თფილისის კარი-ბუქსთან დაიღვარა სისხლი...
როგორც ძმურათ იბრძოდა ტაბახმელა-კოჯორის
მთებში ახალგაზრდობა, ისე მკლავებ-გადაჭდობილნი
წვანან დიდების ტაძრის სავანეში დღეს ისინი! მათმა
გმირობამ, მოზღვავებულ მტრის წინ სიმამაცემ, ძვე-
ლი ქართველი თაობის სახელი აღადგინა, წელზე ხმა-
ლი შემოგვარტყა, ერის სახელის ღირსი ვავგებდა!

და რა მოკლავს იმ საქმეს, რასაც ასე თავგამო-
დებით იცავენ, დედა-სამშობლოს დაცვას წამლათ
ელებიან!..

მზაკვრულათ მოსული მტერი ცბიერი აღმოჩნ-
და, მან ქართველებშიაც იპოვა თითო-ოროლა მო-

ლალატე, მარა, მამულიშვილნო, შეიძლება მზეზე-
დაც იყოს წერტილი, მარა მზე არ მზეობს?

მტერი ჩვენს სულს შეეხა, მარა როგორც ძვე-
ლათ, გამოვიდენ ღირსეული მამულიშვილები და
საშიშარ მტრის წინააღმდეგ ქვეყნის დარაზმვას შე-
უდგენ!

მტრის მიერ დაქსაქსული ქართველობა, ტლანქი
ძალისაგან შემკრთალი პარტიები, მხეცური მოპყრო-
ბით დაბნეული პიროვნებები ბრძოლის ცეცხლში
გამობრძმედილმა სილიბისტრო ჯიბლაძემ ერთ
ფორტში შეაკავშირა, თავის მოწამებრივი გარდა-
ცვალების დროს ერთთ ყოფნა გვიანდერძა!

მტერმა კი მისი ცხედარი მის საყვარელ ცოლ-
შვილს და მის დაზდილ მოწაფეებს მოსტაცა, მით
თავის ველურობა საქვეყნოთ გახადა...

დაიდ მებრძოლს აღმოუჩნდა თავდადებული მი-
მღევრები...

ასე იყო ძველათ, ასეა ეხლაც...

დიდების თავდადებულებს მოყვა თუთხმეტი სა-
ხელოვანი გმირი, რომელთაც წინ მიუძღოდნენ: კო-
ტე აფხაზი, ვარდენ წულოიძე, ა. ანდრონიკაშვილი,
გიორგი ხიმშიაშვილი და ეს თუთხმეტი პირველი
წამებული ისე დაიხოცენ, როგორც ძველათ ღირ-
სეული ქართველები და მით ახალი თაობა ძველ სა-
ხელოვან მამულიშვილებს დაემზავსენ, ჩვენ მაგა-
ლითი ვვიჩვენეს!..

მტერმა ვანაგრძო ერის მოსპობა და მთელი ქა-
რთველი ერი შეერთდა, მისი პოლიტიკური პარტიე-
ბი ერთ საქართველოს გამანთავისუფლებელ კომი-
ტეტში შეკავშირდენ.

მტერმა, როგორც შაჰ-აბაზმა საქართველო ცი-
ხეში გამოამწყვდია, ციმბირში გადაასახლა!

პოთინებიდან გამოსულმა ხალხმა იარაღს ხელი
მოკიდა და აჯანყდა... მთელი ერი, როგორც ერთი
კაცი, განთავისუფლებას სისხრულით ელოდა, ყოველ
კუთხეში მტრის აგენტები დაატყვევა, მარა, რო-
გორც ჩვევია ღირსეულ ერს, დატყვევებულები კი
არ დახოცა. მოუარა და შეინახა...

როდესაც აჯანყება დამარცხდა, მტერმა ციხეებიდან
ძველი ტყვეები გამოიყვანა და ქურდულათ ქალაქ
გარეთ აწამა, მუშები რკინის გზის სადგურებიდან
ვაგონებში შერეკეს და ასობით სადგურების ახლოს
დახვრიტეს... უმშვენიერეს ადამიანებს, რომლის
მზავს ეგროპაში ძველს უგებენ, ტყვეებით შუბლი
გაუხვრიტეს, აწამეს... შემოსილი სამღვდლოება მა-
მა ნაწარის მეთაურობით გამოიყვანეს დასახვრეტათ.
მარა სამშობლოს სიყვარულით შეჭურვილი და სი-
მართლის მადლით შემოსილი მამები სიკვდილს გა-
ლობით მიეგებენ. ვითარცა ქრისტე ჯვარზე გაკრუ-
ლი, ღირსიულათ დაიხოცნენ!

თუთხმეტ პირველ წამებულებს მიემატა ათესე-
ბი: ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზნა, მღვდე-
ლი და ბერი, მათში უკეთილშობილესი და მშრომე-
ლი ხალხი. აქ არიან ძველი რევოლიუციონერები:
ვასო ცაბაძე, დათიკო დვალი, ბენია ჩხიკვიშვილი,
ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, გოგიტა ფაღვა-
გაბო ცისკარაშვილი. მიუხედავთ ასეთი საშინე-
ლებისა ქართველმა ერმა თავი მოიყარა, მეთაურები

გამონახა და დიადი ანდერძის ასრულებას შეუდგა... რას გვავალებს და გვიბრძანებს ჩვენ სამშობლოს საქურთხვეველზე შეწირული გვამები? ერთად ყოფნას, ერთად ბრძოლას, მიუხედავად ჩვენი აზრთა სხვადასხვაობისა. ჩვენ საქმით უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ ღირსეული ჭურჭელი ქართველი ერის სულისა, როგორც ამას გვასწავლის ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე.

ხალხი გრძობს, რომ მომავალი მისია და ამიტომ ასე მოთმინებით არიან აღჭურვილნი შინ და უცხოეთში. გახედეთ, რა მოწამებრივი შევენებით იტანენ ტანჯვას ჩვენში ციხეებში, ჩეკაში და რა შრომით ცხოვრობენ უცხოეთში გადმოხვეწილი ჩვენი მანდილოსნები, ჩვენი დები და დედები. როგორ შრომობს ახალგაზრდა და რა სასოებით მოელის დიადი დროს ხილვას უღრმოვით დაავთმყოფებულის, მარა სულით ძლიერი!

ჩვენ ვდგევართ დიადი აღდგომის კარზე! მართალია. ჯერ ბნელა, მარა ცის ტატნობზე უკვე გამოჩნდა დილის ვარსკლავი, რომელსაც მოყვება მაცოცხლებელი მზის სხივები და საქართველოს კვლავ გამოუბრწყინდება მისი იმედი სამფეროვანი დროშა. რომელიც ყოველნაირ ტანჯვა-წამებას განკურნავს!

დღეს ჩვენ სამფეროვანი დროშის მოაზრებისათვის დაღუპულ გმირებს ვიგონებთ, რომლებიც ჩვენ ერთად ყოფნას გვიბრძანებენ, ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, რომლებიც ხალხმა ეროვნულ აღსავლის კარებზე ახატა, ღირსეულად თავის დაქვრას ავალებენ!..

ჩვენ გვექნება ბედნიერება, თფილისში დიდების ზარები კვლავ დავრეკოთ და თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირების საფლავზე დიდების ძეგლი ავაგოთ!

ქართველები გერმანიაში.

29 აგვისტოს მოეწყო გლოვის დღე, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახოცილ ქართველ-გმირთა ხსოვნის აღსანიშნავათ. კრებას დაესწრო გერმანიაში მყოფი ქართველ კოლონიის წევრთა დიდი უმრავლესობა და გარეშე სტუმრები. სიტყვები წარმოსთქვეს: კოლონიის თავმჯდომარე ბ-ნმა ს. გეგელაშვილმა, სომხეთის წარმომადგენელმა ბ-ნმა აშეგიაზმა, გარდა ამისა ბ. ბ. კერესელიძემ, დ. დამაშიძემ და მ. წულუკიძემ.

სიტყვების შემდეგ მიღებულ იქნა და გაგზავნილი მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ ნ. ყორდანიას სახელზე შემდეგი მისალმება:

«ბატონო თავმჯდომარე! დღეს, 29 აგვისტოს 1928 წ. გერმანიაში მყოფი ქართველთა კოლონია მოგესალმებათ თქვენ, ქართველი ერის ბელადს და გთხოვთ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახოცილ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავათ-ერის დღევანდელ გლოვას ჩვენი გლოვაც შეუერთოთ!

დამპყრობელ მტრის წინააღმდეგ ქართველი ერი კვლავ ბრძოლას განაგრძობს და გვწამს, საქართველოს აღდგენის დიდ სამრეკლოზე გამარჯვების ზარი დაიგუგუნებს.

დამოუკიდებელ დემოკრატიული საქართველოს აღდგენისათვის მტრის წინააღმდეგ ქართველ ხალხთან ერთად ჩვენც გვიგულეთ».

ამას მოყვა ქართული ჰიმნი და კრება დაიშალა.

ქართველები ხაზბონში.

გახეთ «დამოუკიდებელ საქართველომ» ჩამოგვიტანა პარიზიდან ფრიად სამწუხარო ამბავი—გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალებისა.

ქართველთა საზოგადოების გამგეობამ 8 ივლისს გადაიხადა პანაშვიდი. იმავე დღეს მოთავსებულ იქნა ადგილობრივ გაზეთებში მიცვალბულის მოკლე ნეკროლოგი. ხალხი პანაშვიდს ბლომით დაესწრო, გარდა ქართველებისა, იყვნენ აგრეთვე სხვა კავკასიელ ერთა წარმომადგენლები: სომხები, ოსები და სხვები.

ვრემლის ბრძანებებს!

1) რა მიზეზით არის, ბატონებო, რომ სპარსეთში საბჭოთა რუსეთიდან ჩამოტანილი თეთრი პურით პირუტყვებსა კვებავენ, როცა თქვენ საბრძანებლოში თეთრ პურს ადამიანი ავათმყოფისათვისაც ვერ შოულობს? რაც შეეხება შავ პურსა, ისიც ძნელი საშოვარია, დიდ ქალაქებში ხალხი რიგებში სდვას დღე და ღამე და ხშირათ ცარიელი ბრუნდება.

2) რით აიხსნება ის, რომ საბჭოთა რუსეთში მუშებსა და გლეხებს ტყბინი ჩაიცი ვერ დაუღწევიათ უშაქრობის გამო და ამავე დროს აქ, სპარსეთში, თქვენგან ჩამოტანილი შაქარი მილიონ ფუთობით ყრია და ფასიც აღარა აქვს?

3) რა მოსაზრებითაა, რომ კასპიის ზღვის ნაპირები საბჭოთა რუსეთიდან ჩამოტანილი რკინითაა მოფენილი და ფასიც ისეა დაცემული, რომ ფუტს ოთხ აბაზადაც არავინ ყიდულობს და ამავე დროს შიგ რუსეთში ვერც ოთხ მანეთაც შოულობს გლეხი?

4) თქვენ კარგად მოგვხსენებთ, რომ სპარსეთ-ავღანისტანი კაპიტალისტური სახელმწიფოები არ არიან, ამ ქვეყნებში ფაბრიკა-ქარხნები არც კი არსებობენ, მიუხედავად ამისა, აქაური გლეხებსა და მუშებსა საშუალო ხარისხის ტანსამოსი, სხვა ქვეყნიდან ჩამოტანილ მატერიისა, უჯდებათ არა უმეტესს 8-10-12 მანეთისა. საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებსა იმნაირივე მატერიის კოსტიუმი უჯდებათ 60-80-100 მ. რატომ ხდება ეს?

5) რა მოსაზრებითაა, ვისი თვალის ასახვევით, რომ თქვენი უბრალო სპარსელი მოსამსახურე, გინდ ღამის დარაჯი, ადგილობრივ გუბერნატორზე მეტს ჯამაგირს იღებს? ვისი კისრიდან იღებთ ამ ფულებს, აქვთ იურიდიული, ან წნეობრივი უფლება თქვენს კომისრებს მიირთვან შამპანიური და იღონ თვიურათ 500-1000 მ. ძაძვალტყავებული, ტიტველი და მშიერი მუშებ-გლეხების ნამუშევრიდან?

გვრისხელი.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.